

გადაკტიონ ტაბიძე

საქართველოს
საინფორმაციო
სისტემების
სამსახური

K86.581
3

საინფორმაციო
სისტემების
სამსახური



ზღვა ახმაურდა

წიგნი პირველი



ГАЛАКТИОН ТАБИДЗЕ

НАРОДНЫЙ ПОЭТ ГРУЗИИ

ЗГВА АХМАУРДА

(СТИХИ)

СУХУМИ
Издание Абгиза
1948

242

1948

ИДБ 9300P

18774

80P
საქართველოს
სახალხო პოეზია

გაღაკტიონ ტაბიძე


საქართველოს სახალხო პოეტი

გ. ლ. ვ. ა. ხ. მ. ა. უ. რ. ღ.

(ლექსები)

4
K

სოხუმი
აფხაზელგამოს გამომცემა
1948



1.

ქალაქი წყაღვეუბ

ღელვის დროს გემზე
„ტეოდორ ნეტე“
ანძები დატყდენ
როგორც მშვილდები,
ფიქრებს მორევში
რაც უნდა ჰქეცდეს,
ერთ მათგანს მაინც
ვერ მოსცილდები.

რომ დააყარა
ქარმა ფაფარი
უზარმაზარი
გორების ეტლებს,
პოსეიდონის
ძველი ზღაპარი
ეხეთქებოდა
ფოლადის კედლებს.

ასფუთიანი
ჩაქუჩის ცემით
ცა ჩემზე ცდიდა
ძალთა მოკრებას,

მან დაამსგავსა
მგზავრობა ჩემი,
ცხოვრების ჩემის
აზობოქრებას.

გაღმონაგრე იე
შენი ზვირთები
რომ მხარეებმა
მხარეს გაასწროს...
იქუხე, გასწერი,
არ ავტირდები,
არც შებრალებას
ვითხოვ არასდროს.

მე სხვანაირად
ზვირთი მოვსახე,
მზემ ჩემკენ შუქი
რა მოიღერა,
ბოლოს ხომ მაინც
მე შემოვსცახე
გამარჯვებული
ბრძოლის სიმღერა!

როგორ? მე ვქმნიდი
იმედებს განგებ,
იმისთვის მსურდა
ვარდების ფენა,
მისთვის ვფერავდი
მრავალჯერ ჩანგებს,
რომ მხოლოდ მტრისთვის
დამეტკბო სმენა?

არა და არა!
მრავალი სტანჯა,
მრავალს დაუფრთხო
სიმშვიდის ძილი,
ლექსი ყოველთვის
იყო ხანჯალი,
ლექსი მტრებისთვის
იყო სიკვდილი.

მოგხვდათ? იგრძენით?
შევატრიალე
თუ არა ნისლში
მყოფი ბორბალი?
იყო თუ არა
ჭექაქუხილი,
ჩვენი დღეების
ცა ნაჭორფალი?

ო, შავო ზღვაო,
ასწიე გემი
შუქი დაეთქვას
ძალთა მოკრებას,
დაე, კვლავ ჰვავდეს
მგზავრობა ჩემი,
ცხოვრების ჩემის
აბოზოქრებას.

მაგრამ შორს ლურჯი
გაძოჩნდა მთები,
ჩხლა იქ მყუდრო
ნავთსადგურია,
წყალში ჩასული
არის მითები
და ძველის-ძველი
დიოსკურია.

ნავთსადგურიდან
თავდება ხაზი—
ერთ დროს იქ იდგა
მრავალთ-მრავალი,
სხვა წინაპრები
ჩემი, აფხაზი,
უძველეს დროის
შთამომავალი.

გენიალური,
უკვდავი თემა:
პოეტებს მსხვერპლებს
უცხო ფურჩის,

შე შემიძლია
შივსცე პოემა,
პოემა ახალ
დიოსკურიის.

მასში ცხოვრება
ლევის მეღვარი,
უნდა ჩაეშვა
ზღვაში მსახავად,
დახარბდებოდა
თვითონ ედგარი,
იმ იდუმალი
გზის სანახავად.

ზღვის ფსკერზე ეხლაც
მეზღვაურები
ძველ კედლებისას
ჰპოვებენ ხვავებს,
ამოაქვთ ოქრო
აუარება
და საგანძურით
ავსებენ ნავებს.

ქალაქი წყალქვეშ,
მძინარი მხარის,
როს შელამდება
ნაცრისფრად ასე,
მაგრამ სინათლე
ჯერ კიდევ არის
და აღმაცერად
იშლება ცაზე.

ნაპირებიდან
კავკასიონის
მთებამდე მოსავეს
ბინდები შავი,
მაშინ მძინარე
პონტიის ღონის
მე მიმაქანებს
ფარული ნავი.

მზის ფრინველების
გამყივარ ხმაში—
თითქო სხვა მესმის
იღუმალება,
ილიუზია,
ჩვენება, მასში
სულ ახლო, ახლო
რომ იმალება.

თითქოს ეს ხმები
ეკუთვნის არა
მხოლოდ და მხოლოდ
ფრინველთ გვიანებს,
მათში წყალქვეშა
გუგუნებს ზარი
და ხმა ეკუთვნის
აღამიანებს.

მივაყურადებ...
ისევ და ისევ
განმეორდება
ხმა ჟღერით,
ის იღუმალი
ქალაქი სფინქსი
მედახის უცნობ
აურზაურით.

ვგრძნობ: თითქო ფსკერზე
ვეშვები ცურვით,
ხელით ვეხები
წყალქვეშა თხემებს,
წყალში დამარხულთ
ვიგრძნობ მომღურვით
ხანგრძობებს, ლანდებს,
იღუმებს, სქემებს.

აქ დაფარულა
მთელი კრებული
და სიბნელეში
ელავს თვალები,

ის ძველის ძველი
შთამომავალი,
ის ძველის ძველი
ფეოდალები.



მათი ვერა გრძნობს
ფიქრი და ბაგე,
რომ მცხეთის ახლო,
ახალ ნათებით,
ელექტრონების
გაჩნდა ქალაქი
ათასეული
კილოვატებით.

იყო ქალაქი,
იყო საგანი
ოდესმე მძლავრი
და ალიერი,
ახლა ცივია
გზა შინაგანი
და იღუმალი
სიცალიერე...

„ტეოდორ ნეტე“
ეხლა ისვენებს
და ფრინველების
დაცხრა გუნდები.
მშვიდობით, ხსოვნათ
დაკარგულ ფენებს
არასდროს აღარ
დავუბრუნდები!

რ . ი . ს . უ

აფხაზეთს არის
ერთი ტბა: რიცა.
და იქ ხომ გვახსოვს
შენცა და მეცა
ზეცა, ვით ზეცა
და არა მიწა,
მიწა, ვით მიწა
და არა ზეცა.

იმ მიწაშიაც
ფრთების მოკვეცის
ატანაც შევსძლო
იქნებ, ვინ იცის,
მიწის, ვით მიწის
და არა ზეცის,
ზეცის, ვით ზეცის
და არა მიწის.

ოჰ, გამახსენდა
ჩანგი. და მეც ის
შარავანდელათ
მაგებებს ციმციმს—
მიწის, ვით მიწის
და არა ზეცის,
ზეცის, ვით ზეცის
და არა მიწის.

აქ ყინვებია,
ლამაზო რიცა,
შენი ქაველი კი
სიზმრებს მიეცა—
ზეცა ვით ზეცა
და არა მიწა,
მიწა, ვით მიწა
და არა ზეცა.

აუხაზეთო, აუხაზეთო!

მრავალ მხარეთ მოგზაური,
მისაველზე ძველი ცხუმის,
მიდის წყნარად მეზღვაური,
მღერის და ბედს არ ემდურის.

მეც გემზე ვარ. ჟამინდო
ნისლი ჩემთვის არის მდელი,
აფხაზეთო, აფხაზეთო,
სულზე უფრო საყვარელი!

მშვენიერი ირგვლივ არის
ლურჯი წყალი, მწვანე ქედი,



და პონტიის არე-მარეს
შვენის გემი „აფხაზეთი“.

ყოველი მხრივ საიმედო
ღუზათა სჩანს კვალი-ლელო...
აფხაზეთო, აფხაზეთო,
სულზე უფრო საყვარელო.

შინაუზისუარ გაღებზე

ფირუზისფერ ტალღებზე
გემი რომ ილანდება,
ხედავთ როგორ ედება
ნაპირს ცეცხლის დანთება.

მოსჩანან ფრონტონები—
ახლად ნაგებ სახლების.
ხეთა მწვანე დროშები—
ნიშანი განახლების.

ოდეს საღამოობით
ქალაქი აინთება,
სამხრეთის ცის კრიალა
ვარსკვლავი გაბრწყინდება.

დიდებული წამები
სიჩუმის და სიმშვიდის
არეს გადეფარება—
ქართა მსუბუქი რიდის;

ო, რამდენი ძალა სცემს
ამ მშვიდი გალაღებით...
შავი ზღვა კი მიმოდის
ფოსფორიულ ტალღებით.


პ ე ს კ ე რ ი

მე არაერთხელ მინახავს,
თუ როგორ ფერობს ეს ფერი,
საღამოს ზღვაზე როდესაც
გამოსცურდება ვესპერი.

გამოცურდება, ინათებს,
და ისევ ისევ გაჰქრება.
ვესპერი—ჩემი სიცოცხლის,
ოცნებად გამინანქრება.

ბილიკიც სხვანაირია
ტბაზე დახრილი ძეწნების,
ვესპერი, გარე—ყველაფერს
სარკეში გადაეწნების.

ასე: შეხვდები, შეგხვდება;
ხსოვნას კი გული ინახავს;
მე არა ერთხელ მიგრძენია,
მე არა ერთხელ მინახავს.



II.

ზ ყ ვ ა რ ჩ ე დ ი

როგორც მფლობელი
ფასუდებ ტახტის—
ამაყად ჩადის
ქვათა მნგრეველი
იქ, სადაც დუმის
წარბ-შეკრულ შახტის
სძრავს სიმღერის ხმა
დაუძლეველი.

აქ მიწის გულის
ქანაობს ღელვა
მადიდებელი
გულთა კავშირის,
იმ უშავესთა
ფენათა ყელვა;
ბრწყინავდა ელვა
იმ ქვანახშირის.

გზა აცხოველებს
ჟამთა სიაღვს,
როგორც სარკეში
სხივების მტვრევა,
მალაროების
იდუმალ გრიალს
სდევს ქვანახშირის
მონგრევა, ნგრევა.

შენ გაოცდები,
რომ ამოდენა
განძის მიწაში
ხმა ცასაც ესმის,
რომ ქვანახშირის
ზე-ამოტანა,
გამოტანაა
ქვის უახლესის.



და იტვირთება
რკინისგზა ქვითა,
ლიანდაგები
იცვლება კვანძით,
ასეთნაირი
ქვების დატვირთვა,
დატვირთვა არის
ძვირფასი განძით.

სანგრევი სანგრევს
რომ აგრე ელის,
ელექტრომავლით
მიწისქვეშ, ჩქარა,
გასაბრწყინებლად
ახალ ტყვარჩელის
მოდის ქვეზანი
და აკარძარა.

პით აკ მიყვარდეს

ვით არ მიყვარდეს
სამშობლო ლამაზ
და სურნელოვან
ველებით სავსე,
ნანგრევი, რაიც
სცდება აკლდამას
დაუცხრომელი
მდინარის ხმაზე.

ვეტრფიალები
მაისის საფლობს,
კორდებს საირმეს,
ველებს სათაფლოს,
აფერადებით
რომ სცდება დაბლობს,
მიდის თანდათან
და აღის მთაზე.

მუდამ ხმაურობს,
კვლავ, უწინარეს
ჩემთვის მყინვარის
გიჟა მდინარე—

მასთან ყრმა ვიყავ
და აწცა ყრმა ვარ,
მოუსვენარი,
დაუძინარე.

ვით არ ვუმღერდე
გაშლილს უვრცესად
უმშვენიერეს
ქალას და ტყესა,
ასე რომ ელავს
იმათი ზეცა,
იმათი ზეცა
პირმოცინარე.

ვით არ მიყვარდეს,
ვით არ მათრობდეს
მობიზინეთა
ამ არეთ ბედი;
ეს არის ღვიათ,
ეს არის ვარდთა,
ეს არის შქერთა
უსაზღვრო ტბეთი.

თვალს როგორ მოვწყვეტ-
თუ ვით მუხა შორს
დაფიქრებული
გასცქერის მთა-გორს,
როგორ გადახნის
თვალწინ ჰორიზონტს
ასწლოვანი ხის
მონრილი ქედი.

მე მუდამ ვიგრძნობ—
ვით მშვენიერ ფრთებს,
ალაგზნებს ვერხვებს
ჩრდილ-ფერიები,
და დაეცემა
ყანებს და ვაზებს
შულთურჯესი—
ვინემ იები.

როგორ არ გავყვე
ფრენად ცვლილ რონინს,
მოგონებების
ტალღათა კონას,
როს დავინახო
კავკასიონის
უამაყესი,
ბრვე რელიეფი.

ვით არ მაგზნებდეს
დაბლიდან ნელი
სიამეთ მგვრელი
შეხება ქროლვის,
დასაბამიდან
უარმყოფელი
ყოველნაირთა
კვდომათა ჟრუოლის.

მშობლიურია—
გარს რომ მევლება
ხალისიანთა
ნიაფთ ჰევლება,
თავბრუდახვევა
და სურნელება
გადასარევად
ცოცხალ ფოთოლის.

კარგი მიდამო.
აღმართ-დაღმართით,
ვინმე იმნაირს
ვერ ნახავს ეზოს,
რომ ხე არ ერგოს
და იავარდი
და სილაქვარდე
გარს არ ეთესოს.

ეხლაც იქ ვდგევარ,
სადაც მრავალ ხის
ჰაეროვანი
თრთის ძოწეული.

185 98 3
K



და ილუშება
წარბი ძველ ციხის,
კედელს ხშირ-ხშირად
სუროხვეული.

ეხლაც იქ ვდგევარ
ხორხე, ხევებზე,
მწვანით დაბურულ
მოსახვევებზე,
რაც ყოველ ბიჯზე
მდგარ ნანგრევებზე
აფეთქებული
სჩქეფს ბროწეული.

ეხლაც იქ ვდგევარ...
ფეხგადადგმაზე
რაც კი წუთია
და ნაბიჯია,
თითქო ამ წმინდა,
სპეტაკ ქალაქზე
თანდაყოლილი
რამე ნიჭია—

სდგას დილდილობით
შეთურხვეული,
უნარნარესი
ალფათა წელი,
მუხები ძველი,
ცაცხვები ძველი,
ძელქვები ძველი
და გლედირია.

როგორ დავტოვო
ყოველივე ეს,
რაც უჩვეულო
შვენებას ახვევს,
ამ საოცარი
მიდამოს ისეც
უბურუსო და
ულრუბლო სახეს.

K8e 281



ოდეს ფერი ცის
ამ საყვარელ გზებს,
გადეფინება
და დაანათებს—

კიდევ უფრო მეტ
შვენიებას მატებს,
მეტ სიღიადეს
და სიამაყეს.

მე არ გავცვლი გზას,
რომლის წარსული
თვალუწვდენელი
წელიწადთ ტყეა,
უხსოვარ ხნიდან —
დროგადასული
აქ დარჩენილი
მისი სახეა.

ამბობენ თითქო
სამიათას წლის
და იქნებ მეტთა
მანძილთა მწდომის,
მომსწრეა იგი
მრავალი რისხვის,
მრავალი ცეცხლის,
მრავალი ომის.

ამბობენ, თითქო
ამ გზების წინა,
აწ დანგრეული
ზღუდე და ბინა,
უფრო ძველია,
ვიდრე ათინა
და უფრო ძველი,
ვიდრე თვით რომი.

როგორ დავტოვო
და წაიღოს დრომ,
რომელიც გზნებათ
მრავალთ საწყვია

იქ რომ კორდია
და იმ კორდზე რომ
გადარჩენილი
სამი ცაცხვია—

ის სამი ცაცხვი.
მათ ქვეშ შთენილთა
აღფრთოვანებით,
იმედთა შლილთა
და ოცნებათა
გადახდენილთა,
ჩემთა ოცნებათ
გროვა აწყვია.

იქ ძველის ძველი,
უხსოვარ ხნობის,
რაც კი ბილიკი
და ნანგრევია,
მას ჩემი ყრმობის,
საოცარ ყრმობის,
უნელებელი
ოხვრა ჰხვევია.

ნანგრევი...
როგორ მიყვარდა მე ის...
რამდენი სევდის,
რამდენ სიამის,
მე, დაფიქრებულს,
ვინ უწყს, რა წვაში
მღელვარე ღამე
იქ მითევია.

როგორ არ მიყვარს
გაშლილი ფარად,
კედლებზე, კარად,
ფერფლზე იმ დროის,
ღელავს მთელი ტყე,
მთელი ზღვა, მარად
მწვანე ხეების,
მწვანე სურვის.

იგი მკვიდრია
რაც მათ შრიალა
ჩემს სიყმაწვილეს
შთაბერეს ძალა:
ჟამმა ხელით ვერ
გამომაცალა
იგი, ტკბილი თუ
მწარე, ფიალა.


მედგრად! გრძნობამ წინ
რომ გაიწიოს
მეშინის ვისი,
მეკრძალვის რაის?
ამ ნანგრევებთან
მშობლიურ სიოს
მარად ვუპოვით
უტკნობელ მაისს.]

და მგზნებარ ხელით
ჩართულ-გადართულს
რით კაცი გულში
ხანჯალს ჩაიგებს—
ვინაც გაიგებს
ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას
ჩემსას გაიგებს.

იმ ვენეციურ ხიდზე

იმ ვენეციურ ხიდზე
შველი შევნიშნე მზიანი,
ისეთი ლამაზი იყო,
ისეთი ალერსიანი.
იმ ვენეციურ ხიდზე
ქარი მოვარდა ხმიანი,
ისე ბოროტად აჰქუხდა
მკაცრი და განგებინი.

ვენეციური ხილიდან
ქარის საღ შეჰხვდა ზიანი,
მანც არ გადაიჩეხა,
შეგება ოცნებიანი.
ვენეციურ ხილდო
გიყურებ ხალისიანი!
ყელმოღერებას შველისას
ელერს ჩემი ლექსი გვიანი.



ჰყვება შარდენი

ერთხელო,—ჰყვება შარდენი,—
 ვმოგზაურობდი მე გემით
 რომელიც, ვით შევარდენი,
 ჰქროდა ვაჭრობის ემზღემით,

შორეზე შორე მხარიდან
 სადსე ნავაჭრი ქონებით:
 ნავსადგურ ისფუარიდან
 წამოყვანილი მონებით;

ყოველ საღამოს, ასე მკაცრს,
 ბაქანზე გამობოროგილებს,
 აღებდნენ ორ-ორ მამაკაცს
 ხელფეხზე მძიმე ბორკილებს.

დილით კი ხსნიდნენ: ვით ღრღნიდნენ
 ყურს ხმანი საანგარონი,
 რა მწუხარებას მე მგვრიდა
 იმ ბორკილების ჟღარყენი.

დიღ-დილით, ნაპირთ ქვიშაზე
 მრავალი ჩნდა კოცონები:
 ეს იყო მისი ნიშანი,
 რომ მოიყვანეს შონები,

ეს იყო იმის მგონები,
 რომ დაგროვება დიღია,
 რომ მოიყვანეს მონები
 და ყველა გასაყიღია.

ნავით, ბაწრებით საკონლით
 იქ გაგზავნილნი, ხველებით,
 სწრაფლ გემზე ცოცხალ საქონლის
 ჩნდებოდნენ გამყიდველები.

ვაჭრობაც იქ იწყებოდა
ქისათა ბრჭყვიალ-კიაფად,
ვაჭკაცი იყიდებოდა
სულ ჩალის ფასად, იაფად.

თხუთმეტ ეკიულ ვაჭები,
თორმეტ ეკიულ ქალები,
სამ-სამ ეკიულ ბავშვები:
იყიდე, გენაცვალე.

სიდან სად შემონაჩარი,
იქვე,—განაგრძობს შარდენი,—
სჭვრეტდა ბერძენი ვაჭარი,
ქალი სდგას, და ღირს რამდენი?

მოილო ქისა, დათვალა
და ჯიბედ კვლავ ჩაიკიდა.
ისევ დათვალა და ქალი
თორმეტ ეკიულ იყიდა.

ოცდახუთის წლის სულ იყო
ჩვენ გემზე შუქთა მთოვარი,
თან ჰყავდა მისი სულიკო:
პატარა, ძუძუმწოვარი.

გასაკვირველად ლამაზი,
შვენოდა სახის ნაკვთები,
ყორნისფრად კრთოდა თმა ნაზი,
თმა, ყელზე გადანაგდები.

რა იყო სინაზე კანის!
ო, ფერიც, ფერი კანისა,
ფერი ცვრით გადანაბანის
ნამდვილის მთის შროშანისა.

არასდროს,—ჰყევა შარდენი,—
სხვა არ მინახავს მე ქალის,
გულმკერდზე, მშვენი ვარდები,
მომგრგვალი ბროლის ფიქალის.

ერთდღიამაც დროს ეს ქალი,
ჩემში იწვევდა ჩუმს, მალულს,
მღელვარე სურვილს და კვალად
რალაც მწვავ, უღრმეს სიბრალულს.

და გემი გაჰყვა ისევ წყალს,
ფიქრნი კი, მონაგარდენი
თან მიჰყვებოდნენ აფხაზ ქალს...
—ასე ამთავრებს შარდენი.

მახაჯირები

ჩემმა სამშობლომ მშვენიერმა
რაც ნახა ჭირი,
რაც მახინჯთაგან განიცადა,
ჟამთა მოღრუბლვით
რაც ნახა ჭირი, ვიგონებ მას
მე, მახაჯირი.
მშობლიურ მიწის ერთი მუჰა
თან მიმაქვს უბით.

დაგვსაჯა ბედმა, იმ შავბედმა
და გასაჭირი
გაჟლინთა ნისლის, ცრემლებისა
და სისხლის გუბით.
თიხას—დიხაშხოს, თუ ფხვიერსა
ფგრძნობ, მახაჯირი:
მშობლიურ მიწის ერთი მუჰა
თან მიმაქვს უბით,

რა დამავიწყებს ფირუზისფერ
ტყესა და ნაპირს,

მაღალ მთებითა და ერცახუს
ვარსკვლავით ტყუბით.
ჯახში, ჯახირში, ჭაობებში,
ხაშმში—მახაჯირს—
მშობლიურ მიწის ერთი მუჰა
თან მიმაქვს უბით.

რაა გარშემო? სევდა, ანძა
და მოაჯირი.
ქანაობს გემი ქარისა და
ტალღების ჩხუბით.

რა საჭიროა? სადაც მივალ
მე, მახაჯირი—
მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.

ცაზე ღრუბლების მობნეული
წყება ხშირ-ხშირი,
ცივა და ბაქანს წვიმა ასხამს
ღრუბელთა რუმბით...
ვერ ველირსები ჯარს და ჯირითს
მე მახაჯირი...
მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.

მალე მაისის მხურვალე მზე
სხივებს დააქერს,
და არე-მარე მოირთვება
ყვავილთა ჯგუფით.
რომ გამახსენდე, გაზატხულო,
მიმაქვს მახაჯირს,
მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.

არა, არაა ყველა გზები
გადანაქერი,
მჯერა მხურვალე მზე დაგვიცავს
ელვარე უბით.
თვით სამარეშიც ამას ვიგრძნობ
მე, მახაჯირი,—
მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.

როცა წარსდგება დიდებული
მომავალის პირს
აფხაზი—მზითა, ოსმალო კი
კუჭყით და წუმბით,
აი, იმ დღისთვის, მე განწირულს
მიმაქვს მახაჯირს.
მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.





გარდავა ბნელი უფსკრულების
მღვრიე ნადირი.

აღმოსავლეთი მოირთვება
ციხის ალუბლით,

მომავალ დროშებს ეხლავე ვგრძნობ
მე, მახაჯირი,

მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით!

თუ გაიღვებს იმათ თვალწინ
ჩვენი ხანჯალი,
ჩონგურს ძველებურს თუ სიმები
ისევ გავუბით—

კვლავ შემოვსძახებ ძველ სიმღერას
მე, მახაჯირი.

მშობლიურ მიწის ერთი მუჭა—
თან მიმაქვს უბით.

იმ ნადირობით, ცხენოსნობით,
ხმით პირდაპირით,
ღვინით, სიმღერით, მშვიდობიან
სუფრით, საუბრით,

სტუმრებთან ერთად ვერ დავტკბები,
მე მახაჯირი...

მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.

აწიოკების და დარბევის
ხანგრძლივი ძირი...

მე მაგონდება მამა, დედა
ნათელი უბლით,


იმათ ფერფლს მარად ვენაცვლები,
მე, მახაჯირი—

მშობლიურ მიწის ერთი მუჭა
თან მიმაქვს უბით.



აი, რას ვეტყვი აფხაზეთის
მომავალ გმირებს:
არც უსასო ვარ, არც ცრემლები
მდის ღაპა-ღუპით.

გვგრძნობდეთ, მოძმენო, მწუხარენო,
ჩვენ, მახაჯირებს—
მშობლიურ მიწის თითო მუკა
თან მიგვაქვს უბით!



IV.

ი ა ვ ნ ა ნ ა

შენ იძინე
 პატარა ხანს,
მე არ მძინავს
 ამ ქვეყანას.
მე გიმღერებ
 იავნანას —
ნანა-ნანიანა.

რომ დაიკვას
 დანაშენი,
ჩვენი მიწა
 და ნაშენი
საზღვარზე სდგას
 მამაშენი —
ნანა-ნანიანა.

რომ წავიდა —
 დამიბარა:
გამიზარდე
 ეს პატარა,
წამოვიდეს
 ჩემთან ჩქარა.
ნანა-ნანიანა.

მან იგრძნო, რომ
 ჩვილზე ჩვილი
გმირი არის
 მისი შვილი,
გმირი, ვით
 ოძელაშვილი.
ნანა-ნანიანა.

შენი თოფი,
 შენი ხმალი
 სულ მზადაა,
 გენაცვალე,
 მამისაკენ
 გასწი, მალე...
 იაფ-ნანინა.
 შეკაზმული
 არის ცხენი,
 გზას გილოცავს
 დელაშენი:
 წა, საგმირო
 საქმე ჰქენი
 იაფ-ნანინა.
 შენ ჩემი ხარ
 ბიჭი შავი,
 გადალახე
 მტერთა ზვავი,
 მამულისთვის
 დასდე თავი.
 იაფ-ნანინა.

გ მ გ მ ნ ა

გამიგონე,
 არა ერთი ასეთი
 მშვენიერი
 ფიფქითაა ფარული —
 ისევ ის გზა,
 ისევ ის აფხაზეთი,
 საბოლოოდ,
 ისევ ის სიხარული.
 გამოჩნდება
 ქარვით გადაფარული,
 ოქროსფერი,
 ოქროსფერი თუთუნნი,
 მხიარული გესმის
 ხმა დაღარული,
 მხიარულთა მდინარეთა
 დუღუნნი



მივდიოდით
 გულით მოკისკასეთი,
 ვის მოსწყინდეს
 ამ გზაზე სიარული?
 არის ეს ზღვა,
 არის ეს აფხაზეთი,
 კიდევ არის
 გრძნობა გენიალური:
 მთებში აფხაზ
 კოლმეურნის გოგონა,
 დაინახა მოგზაურმა.
 გოგონას
 მთელ სახეზე
 შრომის ჭიაკოკონა
 ახალგაზრდას სიხარულად
 ეფენა.
 ო, იშრომე
 ამ ველებში, ამ მთაში,
 სადაც ჰყვავის
 ქარვისფერი თუთუნი,
 სად მიმოზის
 და პალმების კალთაში
 მდინარეთა გესალმება
 დუდუნნი.
 იერილოს
 ძველმა მიეთ-მოეთმა,
 შეერთება
 ძველი ხავსი ეგონოს,
 მოგვტაცაო
 დროის სიახლოეთმა
 მშვენნიერზე
 მშვენნიერი გოგონა.
 მაგრამ ძველთა
 რას გააწყობს გარისხვა,
 აღტაცებამ
 ერთხელ დაიმღერა—რა,
 დაე აღსდგეს
 ხმელეთი და შავი ზღვა—
 ვერ დასძალავს,

ვერავენ და ვერა-რა.
ამოხეთქოს ხმებმა
ვით ოქროვითმა,
გამარჯვებით
ახალ ყოფად მოჰკონოს,
სამუდამოდ
სიხარულზე მღეროდეს,
კოლმეურნე
მშვენიერი გოგონა.
1930 წ.



აგე, იმ ჩრდილქვეშ

აგე, იმ ჩრდილქვეშ
სადაც ძველი, დიდი ცაცხვია—
ჩვენს წინაპართა—
მეომართა სისხლი აცხია.

აგე, იმ მთაზე
სადაც დევი—ეგვალიპტია,
როგორ მოგითხრო
რა მინახავს, რა განმიცდია.

აგე, იმ ველად
სადაც რაძი და თუთუნია,
როგორ მიგრძენია,
რანაირი საუკუნეა.

აგე, იმ თხემზე, სად ბალია
აკადემიის—
ბალი კი არა—ზმანებაა
და ედემი ის.

აგე, ზღვა მოსჩანს,
ზღვა სიცოცხლის და ოცნებისა,
მშობლიური ზღვა, და ხომალდი
მოგონებისა.



ს ვ ე მ რ ა ე რ

რამდენიმე დღე მივდივარ,
ქვეშ ბალახი მეგება.
ჩემს ძახილზე: მასპინძლო!
ქალი გამომეგება.
თავსაფარი გაისწორა,
სახლში შემიპატიჟა,
სჩანს რომ ძველი მეგობრობა
სიშორემ ვერ გათიშა.
— ჩემი ქმარი შინ არ არის
შემობრძანდით ოჯახად,
სადაც არის, გეახლებათ,
მოითმინეთ ცოტახანს.
იღგნენ ცაცხვი და მუხები
ჟამალესი წვეროთი,
მე მალალი აივნიდან
შავზღვას გადავცქეროდი.
აგერ მოდის მეგობარიც
შედგა, საცა ვერხვია.
მერე მოსწყდა სიხარულით
შემხვდა, გადამეხვია.
აკაშკაშდა ცაზე მთვარე,
სუფრაც, რა დარებია,
ბევრი, ბევრი ძმავ, კარგი დრო
ერთად გვიტარებია!
მოგონებათ ნაკადები
სიხარულის მფენია:
სიყმაწვილე, მეგობრები,
ლექსი, შოთას გენია!

სხვაგან სადაა?

სხვაგან სადაა სიხარული
და მწუხარება,
რომელ სინათლით განათდება
ზღვით მქუხარება.

სხვა რომელ წყალით იბანება
ნატყვიარები.
გმადლობ, ნუგეშო, შენს გზებზე რომ
დავიარები.

ჩემს მხურვალე შუბლს დიდი ცეცხლის
აჩნდა წვალება,
შეახე ცივი ხელისგული,
ვით მოწყალემა.

მეგობრებმა

შენს ჩრდილში ნახა
მზე გამკვირვალე,
როგორც თივთიკი.
ვესაუბრები
შენს ჩრდილს, რაა რომ
მე პოეტი ვარ,
შენ ევკალიპტი.

მწუხრს შავიზღვიდან
ქარი მოღელავს,
შენს მხოლოდ მწვერვალს
ხრის, უაღერსებს.
ის ბალახ-ბულახს
თუმცა გადათელავს,
ვერას დააკლებს
შენს მტკიცე ფესვებს.

ასე: თუ ახლო
ფიქრი დაერთო,
ენმაურება
ოცნება შორისს.
მაინც საერთო,
დიდი საერთო
ძვირფასო ხეო,
რაა ჩვენს შორის?

სულთქმით დიადით,
გულთქმის ხმაურით,
მხრების აზიდვით
და ძალ შევსებით—
მცენარე მკვიდრობს
ფესვებით მძლავრით,
აღამიანიც
ძმოზის ფესვებით.



ფანჯრის მინებზე
 ქარბუქივით ატყდა ტყეები,
 გლელიჩიები,
 ზამბახები, ორხიდეები,
 გადარეული ორნამენტით
 მოირთო მინა.
 გარეთ ყინვა.
 ყვავილებიც გადაიყინა.
 ორხიდეების მშვენიერი
 ლამაზი წრეა,
 რომელსაც თბილა
 შეიფარებს ორანჟერეა.
 დე, გარედ ქარი თარეშობდეს:—
 ოთახში თბილა
 და ორხიდეაც ოცნებათა
 ბალში შეჭრილა.
 ამბობს: ოცნებაე! რა ამოდ
 დიდხანს გევედრე,
 რომ შეგენახა ერთი ფერი:
 მშვიდი სითეთრე.
 სითეთრე თოვლის, სისპეტაკე
 მხარეთ ზემოთა,
 რომ მას ჟიმანკო ბავშვის სისხლი
 არ დასცემოდა.

გამარჯობა, აუხაზათო შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი,
 ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.
 შეეპარა გულს რაღაცა სენი,
 მომენტრა ზღვა, რომელიც შორია.
 გომაცებე შენ იგივე პალმა,
 სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
 გადიწერა ზღვაზე ლექსი ჩემი,
 მომაცებე მშობლიური გემი,
 მომაცებე მშობლიური მიწა,
 შენი ძველი მეგობარი მიცან.



* * *

მოჭფენია ფერი ლილის
არე-მარეს იმ წყაროთა,
სადაც როსმე ყოველ დილის
გათენება მიხაროდა.

ის ნაპრალიც ღროთა სვლაში
სურომ ფითრით გადაბარდნა,
საიდანაც მშფოთარ ზღვაში
მიხაროდა გადავარდნა.

აწ იგი დრო მიდის, მიდის,
იჩქარის და იჩქაროდა.
მაგრამ ძებნა მარგალიტის
მიხარის, ვით მიხაროდა.

მილიონეუბი ხელის მრეველი

ოცნების მდიდარ
ბალში შეველი,
ვარდები დამხვდა
დაულეველი.
ვიყავ ამაყი
და უძლეველი —
მილიონებში
ხელის მრეველი.

გადანგრეული
მანსოგს სასახლე,
არის ჩემს გულში
ერთი სიახლე:
ამჟამად მხოლოდ
ზღვას ვასახელებ —
მილიონებში
ხელის მრეველი.

აი, სიალაც
იშლება დილის,
ოქრო ლიმონის,
ქლიავი ლილის,

დაფნის, ფორთოხლის
და ზეთისხილის
მილიონებში
ხელის მრეველი.

ნაკადულო, ნაკადულო!

ნაკადულო, ნაკადულო,
გამარჯობა შენი!
ყვავილებით მოხატულო,
მინდორს როგორ შეგნი!

მახსოვს მე ზღვა და გურია:
ბავშვი გმირად შემქენ—
როს მარიამ დემურია
გაგზავნიდა ჩემკენ.

მიმოჭყენდა ველი სურნელს,
თრთოდა სული, გული.
ვშლიდი ფურცლებს და იმ ჟურნალს
ერქვა „ნაკადული“.

ს ხ ე ნ ო ს ა ნ ი

დაიძრა ქვეითი ჯარი,
აქუხდა არტილერია.
კვლავ საზენიტო გრიგალის
მალ-მალი ხმა შეერია.
გლეჯენ, ამსხვრევენ მტრის ტანკებს,
გზებზე ტყვიების მტვერია,
ხანძრებს, ზეაწვდილს ცათამდის,
ღრუბლები დაუფერია.
აწ საქმე მიდვა ცხენზედა,
ცხენიც აფხაზის ჯერია.
უნდა გენახათ ის ცხენი
რა ფიცხი და ძლიერია.
არა ერთს და ორ ქარიშხალს,
და გრიგალს გადამწვდენარი,
ტყვიების სტვენას ხვდებოდა
ჩემი ფრთიანი მერანი.

თოვლი, მიდამო ტრიალი,
მიყრუებული შარები,
მივადგებოდით ქალაქებს:
აბა, გაგვიღეთ კარები!

ანიტლას ზღვას ზაყის კახკახი

თანდათან ციდან ძირს ეშვება
ლაშქ—სამხრეთის,
ნელი მიბნედიტ გადივლის ზღვას
და მთებში შედის.
—ლაშქ მშვიდობის,—ამბობს ქალი.
ცა მოწამეა.
—ლაშქ მშვიდობის, მაგრამ განა
ეხლა ლაშქა?
რამ დალაშქა. გულში დილა
გათენდა გრძნობის.
დილა მშვიდობის! შენ კი ამბობ:
ლაშქ მშვიდობის!

ზღვა ახმაურდა

ზღვა ახმაურდა ყრუ ხმაურობით,
ანძა, იალქნის მეთაურობით
მოგზაურობდა.
ძარღვებს თანდათან ეს უცნაური
სწეწდა, არღვევდა აურ-ზაური.
ზღვა ხმაურობდა.
ზვირთის დენაში წვეთი ყოველი,
იმ სიმფონიის ვერ დამტოველი
მეზღვაურობდა.
სისხლისაც ყოველ მცირე ატომით...
ძალ-გამეტებით, თავ-გადაკვდომით—
ზღვა ხმაურობდა.
და მე ვიგრძენი უეცრად, მკაცრად,
რომ არა ფერფლად და არა ნაცრად
დღეთ წინაურთა—
არა ჩემს გარეთ, არა რაშქ სხვა,
არამედ ჩემში ახმაურდა ზღვა,
ზღვა ახმაურდა.

მე ზამთრისაგან
 ჯაჭვ-აწყვეტილი,
 ნაცნობ ბალისკენ
 მივემართები—
 სად ფერად უცხო,
 ყნოსვად კეთილი
 ზამთარ და ზაფხულ
 ჰყვავის ვარდები.

დე, ჰომიროსის
 და ჰეზიოდეს
 ფეთქდნენ ვარდები
 მალლა ახრილი,
 მათ ვერ დამარხავს
 სასტიკი ლოდი,
 რომ სამუდმოდ ვარ
 ბორკილ-აყრილი.

დაე, მაისის
 ხატავდეს ხელი,
 ფლორას, გრაციებს,
 მუზებს და ეროსს,
 რომელი იყო
 პოეტი წრფელი
 რომ სიყვარულზე
 არ დაემდეროს?

ვარდები იგი
 ელადის გემმა
 დაფანტა როგორც
 ძვირფასი ჩრდილი,
 როგორც სახება
 და დიადემა
 სილამაზისა
 და სინამდვილის.

რომელი ლხინი
 იყო უვარდო—
 და ან რომელი
 დღე საცნაური—



ან ანაკრეონს
ვინ განუმარტოს,
რაა უფარდოთ
დღესასწაული?

სახეთა ფერი
და ნეტარება,
ბაგე, თითები
თუ ყოფნა მზარდი,
პოეტს ყოველთვის
აქვს შედარება:
მაისის ვარდი,
მახმურის ვარდი.

მარად იზრდება
ვარდთან ჭინჭარი,
როგორც ოდესმე
ჟთქვამს ოვიდის.
დაე, მოვარდეს
სეტყვათა ღვარი
და ცეცხლი ჩემზე
გარდამოვიდეს.

ნეტავი ჩემთვის
წუთებს არ ეკლოს,
აივნიდან რომ
მესერიან ვარდებს.
ვარდებს ეკლიანს,
ვარდებს უეკლოს:
ოჰ, ამ დღეების
სიმღერა მმართვეს.

ო, სიწმინდეო
და სიფაქიზე!
შენ ვერ მოასწარ,
ისე დაწყნარდი.
როცა მზიანი
იყავი ისე,
როგორც უწვიმარ
რიჟრაჟში ვარდი.

და ორნამენტი
აკრთობდა დემონს
იმ მშვენიერა
წიგნების ძალა,
წიგნზე ყოველთა
მაშინდელთ ზემო
ვარდით მორთული
ჩნდა თავის ქალა.

ბოტიჩელს ვარდთა
სწვაგდა დღე იგი—
რაფაელს იგი
ფარავდა ლხინში,
სადაც ჯიოტო
და ვანდუიკი
და ლეონარდო
იყო დე-ვინჩი.

იხიბლებოდა
სული დიადით,
როს სიმაღლეებს
წვდებოდა არსი.
რუსთაველს, ბესიკს
შვენოდათ ვარდი—
ისეთი ჰქონდა
ვარდს შინაარსი.

ვიგონებ თაღებს,
ვიგონებ სვეტებს,
და ყვავილებით
მოქარგულ ფარდებს.
მაისს, აფხაზეთს,
ძვირფას პოეტებს
და კათედრასთან
მიმოყრილ ვარდებს.

„შაჰლა აშთა“

სადღეგრძელოსთვის სიტყვის თქმის
ნება მომეცით, თამადა:
შემკობად თინათინისა
ამ სასმისს ვსვამ თამამად.



ვის მკერდზე გადმოფენია
 ნაწნავი ცხრა—სამ-სამადა.
 ვისი თავხურვა ყოველგვარ
 თავხურვას შეეკამათა.

და წარბ-წამწამი ყველასი
 არ ღირს მის წარბ-წამწამათა.
 სახისკანს სადაფისფერსა
 მზემ შუქი რამ მიამატა.

ტან-სარო, ალვა ასული,
 შეგნება მარადჟამადა.
 ვინ მზესა სწუნობს, მაგრამ მზე
 თინათინებდეს მარადა.

ვუსურვებ: ჰქონდეს სიმხნევე
 ფუძედ და დასაბამადა,
 მშვიდობიანი ცხოვრება
 რომ არ შეცვლოდეს შხამადა.

და აფხაზური, ბევრი რამ,
 სიბრძნეთა და სიამეთა,
 ის კარგი დარბაისლობა,
 უღირდეს ძვირფას რამედა.

ვარდყვავილებით მოერთოს
 ველი, ქცეული შლამადა.
 „სამშობლოსათვის მაცოცხლეთ“—
 მევედრები იყოს ამადა.

მომხდურებს რომ წახდენოდეს
 რბევის სურვილი და შადა.
 მტერზე მიმსვლელი მენახოს
 ქალი იძახდეს: „ჰკა მათა“.

აფხაზნი ქალნი გმირთ ზრდიდნენ,
 შემმუსვრელთ არამგამათა...
 მაშ ერთი ძველი, სუფრული,
 სთქვი „შარდა ამათა“—თამადა.

ჩვენი კორიკი

ღრუბლები შორი,
 აფრები შორი,
 ახლო ხმაურობს
 ჩქარი კოდორი,

აგე, კოდორით
აფრინდა ქორი —
ააქვს სისწრაფე...
მერე როგორი.

და როდესაც ზღვას
სწვდება ეს თქორი,
სწრაფლ დადინჯდება
ჩქარი კოდორი.

მირხევა მდორე,
ტალღებიც მდორე
და დამშვიდების
ზვირთი მეორე.

არა ამოდ
დუღდა კოდორი,
არა ამოდ
გასჭრა მთავორი.

იმ დროის არა
ერთი და ორი
დარჩეს სიბერეს
ხსოვნა-ამბორი.

მოგონებების
არის ეს ტბორი:
რა ბედნიერი
არის კოდორი!

შიქაბი კორკთან

ჩემმა ახალგაზრდობამ,
დღემან პირ მოცინარემ —
განვლო ვით გაზაფხულის
შფოთიანმა მდინარემ.

მაგრამ ხანგადასული
გული ისევ გულია,
არ ფიქრობ რომ ყოველი
უქმად დაკარგულია.



მეგობრებო, ჩვენი გზა,
 გასწივს წელთა მრავლობას,
 იგი მუდამ დარჩება
 ხსოვნად შთამომავლობას.

1930 წ.
 კოდორთან.

სადღაც კი...

სადღაც კი ჰყვავის ბროწეული,
 ნუში და ვაშლი,
 და პოეზიის არ იქნება
 გადავიწყება.

თუ მომეძალა მწუხარება —
 გიოტეს გავშლი,
 იქ მშვენიერი ერთი ლექსი
 ასე იწყება:

„შენ იცი მხარე სად იზრდება
 დაფნა და ტვია,
 ღრმბა და სუფთა ლაჟვარდები .
 ცათა კამარის,

სადაც ლიმონსა და ფორთოხალს
 ოქრო ატყვია,
 ხშირ სიმწვანის ქვეშ მხურვალეობა
 უცხო რამ არის.

„იცი ეს მხარე, ო, ძვირფასო
 იქ, იქ ნეტავი
 გადაგვაფრინა, შევაფაროთ
 მე და შენ თავი.

„იცი მწვერვალი, სად ბილიკით
 ცხენი ეშვება
 და სალ კლდეების ბურუსებში
 დაეხეტება,

სად მთათა მოდგმა, დასადგურდა,
გარდაქმნანი.

სად წყალვარდნილის და ზვავის ხმა
ხეგებს ედება.


„იცი შენ ის გზა? იქ ჩვენი გზაც
ჰაობთა ზემო
გაქვალულია. იქ წავიდეთ,
მფლობელო ჩემო.

„შენ იცი სახლი მარმარილოს
სვეტებით თლილით.
ბრწყინავს დარბაზი და გუმბათი
მაღალ სხივითა.

„მკვრეტენ ქანდაკნი მწუხარებით
სავსე დუმილით,
საბრალო ბავშვო, რა გაწუხებს,
რა მოგივიდა.

„იცი ის სახლი? რა ტკბილია
ის სამფლობელო...
იქითკენ, ჩქარა, იქ წავიდეთ,
ჩემო მშობელო!“

1935 წ. ბერლინი





თაჰარაგუაღი შიღიონაგი

სამშობლოსათვის
 თავდადების
 დრონი მეფობენ!
 იგი გვეძახის,
 ბევრის მოწმე,
 ბევრის მგონები,
 სამშობლოსათვის
 ოცნებობდნენ
 და ოცნებობენ,
 აღამიანთა
 პატროსანთ
 მილიონები.

კავკასიონი
 ლაჟვარდების
 მალალ ცარცივით—
 მზეზე ეღვარებს
 და ოცნებობს
 თავის არწივით—
 თან რგოლებს ხაზავს
 და ტრიალებს
 ამაყად, ფართოდ,
 ის მეომრის ფიქრს
 მოუწოდებს
 (კად სანავარდოთ.

აიწვეს მალლა,
 უფრო მალლა,
 აჰა, ეშვება,
 კვლავ მილივლივებს,
 მაგრამ ღრუბლებს
 არ მოეშვება.

დარწმუნებული
 სილაღეში,
 სიძლიერეში,

სწორია მისი
ფრთის სიმშვიდე
თუ იერიში.

ქვევით ქვემეხთა
გრიგალია,
დასცხრენ სიონი—

ქვეყნებს უსივრცოს
გადასცქერის
კავკასიონი,

ხედავს: იბრძვიან
მგზნებარენი
რწმენით და თითქმის

თვითონ სიკვდილის
სიმძაფრეში
შთაჭრილ გულისთქმის—

ძალით, სიციცხლის
გატაცებით,
მკვლავით, გონებით—

ადამიანთა
მღელფარებენ
მილიონები.

ელვარებს ქურა.
აქ მზადდება
ისრები სხივის,

აჩქარებული
მონათება
ალისფრად ღვივის.

ძალას ედრება
თვით ზესთა ზესს
ციცხლში ლიტონი,
გავარვარებულ
აგვისტოს მზეს
აგავს ლითონი.

შეიმოსება,
აზღვავდება
რკინის კონები,

ადამიანთა
თავდადებულთ
მილიონები.





ცეცხლით, მახვილით
რკინის მქმედი
მრავალის მგრძნობის,
ჩვენს სამშობლოში
სწყდება ბედი
კაცობრიობის,

აღსდგნენ მონხდურის
წინააღმდეგ
არა მონები—
სამშობლოსათვის
თავდადებულთ
მილიონები.

გლები ნამგალით
მკლავზე იწვენს
თავთავს მონაქუჩს,
გამძაფრებული
სცემს მშრომელი
უმძიმეს ჩაქუჩს—

რომ მეომართა
გამოსტეკედეს
ხმალთა წკრიალი,
— „მუსრი მტარვალებს!“
და ტანკების
მიდის გრიალი.

მოსიყვარულე,
ხმამალალი,
მძაფრი და მალი
ხევიდან ხევზე
მიგუგუნებს
ძახილი: „სტალინ!“

„სტალინ!“— გაისმის
და იგი ხმა
უსაზღვრო ნების,
ხმაა ქვეყნისთვის
თავდადებულ
მილიონების.

გმირებს ვერ ითვლის
ჩვენი მხარე,
ურიცხვს და ულევს,

ისინი ჰქმნიან
რომ არ ჰქმნილა
იმ სასწაულებს—
გზებს, რომ ჰკაფავდნენ
ნარ-ეკლიანს,
ანშობენ ოდეს
უნდობელ მტერთა
ძალადობას
და სიბოროტეს.


გმირი სიცოცხლეს
თვისას სწირავს
სამშობლოს მზიანს,
ვაშა გამბედავს,
ვაშა სულით
მიღავრ ადამიანს!

გზა ისტორიის
გულზე იწერს
გმირთა სიმარჯვეს,
ვაშა და ვაშა.—
ხალხის გულში
მათ გაიმარჯვეს.

ქებათა-ქება
მათი ქვეყნად
ჰქუხს, არ დასცხრება,
მათი რისხვითა
თავს დაატყდეს
მტერს დამარცხება.

მათთან არიან
მტარვალთათვის
შიშ-შთამგონები
მილიონები,
თავდადებულთ
მილიონები.

როგორც მაგალითს
მსოფლიოსთვის,
უკვდავ მცნებისთვის,
იდეალისთვის,
მშვიდობისთვის—
და უფლებებისთვის



თქვენს სიმაშაცეს
მეომრებო,
დიდება, ქება!

არტილერია,
ტანკისტები,
პარტიზანთ წყება,

ქვეითი ჯარი,
მფრინავები
სწორედ ამ წამში

მიდიან
ახალ შეტევაში
ახალ კამკამში,

გაიმარჯვებენ
გმირნი, რადგან
ხიდი იდება—

დაუძლეველი,
გზას გვინათებს
ჭეშმარიტება.

კვლავ განვიმსჯვალეთ
მოწოდების
დიადის ცნობით,

მეტის სიფხიზლის
სიყვარულის
და ბრძოლის გრძნობით.

სამშობლოსათვის
თავდადების
დრონი მეფობენ;

იგი გვეძახის
ბევრის მოწმე
ბევრის მგონები.

მიახლოვებულ
გამარჯვების
დიდებას გრძნობენ.

ადამიანთა
პატოსანთ
მილიონები.

ომს სურს შესცვალოს
 ზეცა კრიალა:
 ის იქ ცეცხლოვან
 ფრთებით ფრიალებს,)
 მისთვის ტოტმა არ
 გაიწკრიძლა,
 მისთვის არასდროს
 ტყე არ შრიალებს.
 სხვა არის მისთვის
 კალთები მწვანე,
 ლაქვარდი მთების
 ფარჩა და ჩითი,
 ხავერდოვანი
 ზღვა-ოკეანე
 მისთვის არასდროს
 არ არის მშვიდი.
 გაზაფხულის მზე,
 სიუხვე, სითბო
 იხშობა ომის
 ელვა-კაშკაშში,
 სიმწარე არა,
 შვება და სიტკბო,
 სურს ღრმად ჩანერგოს
 დედამიწაში.
 არ სურს სიცოცხლე
 სჩქეფდეს და სდუღდეს,
 დეე, ის სისხლად
 გადაჩუხჩუხდეს,
 მიადგეს უფსკრულს
 და გადაზღვავდეს.
 თუ მზე მიდამოს
 ციდან ასხამდა
 შიჟნელებლად
 მაგიურ ძალას,
 არსებას ყოველს
 ფრთებს შეასხამდა,
 ომი იმ ფრთებს სჭრის
 ლაქვარდს კრიალას.
 ჩაწვეს მიწაში



ყვავილთა ჯარი,
 ახალგაზრდობა
 ფერად-ღერება,
 მისთვის დანდობა
 არის ზღაპარი,
 მისთვის სიკვდილის
 ჰქუხს ამღერება.
 მშვენიერ ფერთა
 ჩაკვდეს დიდება,
 აზრის მიყუჩდეს
 მკვიდრი დინება.
 ცრემლით სურს
 მოთვალ-მარგალიტება,
 წყვილიადით წყურის
 გამობრწყინება.
 ისმის ზუზუნნი
 დაულალავი,
 ჟანგარიშო
 და უღვევლი,
 იქიდან გაჩნდა
 ეს უთვალავი
 ფუტკარი, სად დგას
 ტყვიამფრქვეველი.
 ხმაურში ჰაერს
 რომ მოსდებია
 თვითმფრინავები
 ურიცხვი ჯარის,
 ტანკთან ვრცელ გზას რომ
 შეტოტებია,
 იქაც კი, სადაც
 გზა სულ არ არის.
 ჩვენთვის
 სიცოცხლე
 ყველაფერს ნიშნავს,
 ჩვენთვის გულია
 ყველგან ფარული,
 მზე და სიცოცხლე
 ვის გაუთიშავს,
 დასაბამიდან
 გზა მოხარული.
 ორივე სიცოცხლით



მოტივტივეა—
 კაცთ სამღერეულად
 შექმნილი ქნარად,
 ორივე ერთი
 და იგივეა—
 ორივე გვიყვარს
 მარად და მარად.
 მაგრამ ჩვენ დავთმობთ
 სიცოცხლეს ისე,
 როს სამშობლოზე
 ზრუნვა იწყება,
 ჩვენის სიმართლით
 მიმავალ გზაზე
 წვიმა, თოვლია
 თუ ასიცხება—
 წინ აღუდგება
 მრავალი ჯარი
 ხალხთ დასარბევად
 მოსულ ჯალათებს...
 მიეც თავდაცვას
 სუნთქვა მედგარი,
 ვინა სთქვა, რომ ის
 პასუხს ვერ აგებს...
 ტყვიამფრქვევები
 ააჭახჭახე
 მეტი კურვებით,
 მეტი ვაზნებით,
 მტერი თავხედი
 კლდეს შეაჯახე
 შაშხანებით და
 თოფზარბაზნებით.
 და თუ ბრძოლაში
 მგზნებარე, ვრცელი
 განვლიოს გმირმა
 გზა საამსოფლო—
 სიკვდილის წინათ
 უკანასკნელი
 მისი იქნება
 სიტყვა: სამშობლო.

* * *



—ვისი არის ეს გუგუნი,
 ეს მედგარი ხმა ვისია?
 —ეს—კორპუსი კორპუსებს სდევს,
 დივიზიებს დივიზია.
 —ვისგანაა ეს გრიალი,
 გზა რომ გადუქენებია?
 —ეს ტანკები არის ჩვენი,
 ჩვენი ბომბათმშენებია.
 —ვისი არის ეს ქარბუქი,
 მტერს ხედვა რომ აურია?
 —ცხენოსნების, მფრინავების
 სულ მხედრების ხმაურია.
 —ეს რა ცეცხლი აიშართა,
 და ჩვენს მართალ გზას ანათებს?
 —ცეცხლი არტილერიისა
 ანადგურებს მუხანათებს.
 —ეს რა ხმაა სასახელო,
 —სიხარულით გულმა ახსნას:
 —ეს სამშობლო ესალმება
 ჩვენი ქვეყნის მტრისგან დახსნას.

* * *

მთავარსარდლის
 შორსმკვრეტელო მზერავ,
 ველს ბრძოლისას
 თუ ტყეების ჩრდილოს—
 გამარჯვების
 ფერადებით ფერავ—
 ვით მხატვარი
 თვალუწვდენელ ტილოს.

არის ისართ
 თუ ტყვიების სტვენა,
 და დიდებას
 ამნაირი ჟღერის—
 რასაც ჩემი
 ვერ გამოთქვამს ენა,
 მას მოქნეულ
 ხმლის წკრიალი მღერის.



მოსკოვისთვის
 არის იგი მღერა—
 მომავალის
 მომცემელო სრულის—
 მთავარსარდლის
 მოდარაჯე მზერავ,
 მოდარაჯევ
 ხალხის სულის, გულის!

* * *

ის, მოსკოვი, არ დაინდობს
 ვინაც ახშობს ცას სრულყოფილს,
 უდიერად ვინც ეხება
 ყოველ კარგს და კეთილშობილს.

არ დანდობა ვინც არ ინდობს
 დიდებსა და აკენის ბალღებს,
 ვინც ერები შეარია
 შიმშილსა და ნგრევის ტალღებს.

თავდადებულ მამულიშვილთ
 არ დასცხრება გული წრფელი
 და ძაფრდება დიდი ცეცხლი,
 მტერზე შურისმძიებელი.

რაც სამშობლოს ემუქრება
 დამპყრობელი ასე ცხადი—
 ხალხთა დიდი სიმართლისთვის
 ომში იყო სტალინგრადი.

და სხვა უკვდავ სახედ არის
 აღმართული ბასრი ხმალი:
 ხალხის აწმყო, ხალხის ხვალე,
 ხალხის დიდი მომავალი!

* * *

ისეთმა ქარმა დაჰბერა
 ქვეყანას, რომ არ სმენია,
 ისეთ სიმაგრეს მიაწყდა,
 ზღვიდან ზღვას რომ გასწვდენია.

მოჭკრის ისეთი ალალი,
 ცას რომ არ გაუჩენია,
გაწითლდა ცა და ხმელეთი,
 ცის კიდეს სისხლი ჰფენია,
ოკეანემდე მისულა,
 კიდევბს გადადენია,
გადაულეკავს ნაპირი,
 ყველგან აღმურის მჩენია.
არასდროს ასეთი ფრენით,
 გასტელო, არ გიფრენია.
სხვისი შენ არა გინდა რა,
 შენი რაც არის, შენია.
დაჭკრიხარ კიდით კიდემდე,
 ცას ვარსკვლავები ჰფენია.
ხედავ მშობლიურ მწვერვალებს
 შუბლი ცას მიუბჯენია;
ძირს დაფენილა სამოთხე,
 დახედავ, იგრძნობ: ჩვენია.
არასდროს ასეთი ფრენით,
 გასტელო, არ გიფრენია,
მტერი სწყვეტს ბავშვს და მოხუცებს,
 გულს მოედება გენია,
თავი რად გვინდა ცოცხალი...
 განა ეს მოსათმენია?
გასწი გასტელო, შენთვის მზე,
 ვერ დასთვლი, რამოდენია—
შენს სიკვდილს მოაქვს სიცოცხლე
 და გამარჯვებაც ჩვენია!



VI.

ისჯორის ახალი გვერი

საქართველოში
წინად, მრავალი
ისტორიულად
არ წარმავალი
ვიღოდა მტრობა—
გესლით მავალი
და სისინებდა
ქვეწარმავალი.

მისგან სიბნელე
არეს ჰფენია,
შეხედეთ: გესლი
რაოდენია,
ის ანადგურებს
„ვეფხისტყაოსანს“,
რომ რუსთაველის
ჩაპკლას გენია.

ის შხამავს ასე
უბრალოდ მზიანს,
ვაჟა-ფშაველას
დეკას და ღვიას,
ის წიწამურთან
ილიას ხვდება
და მზიურ შუბლში
უმეზნებს ტყვიას.

ყოველი კარგის
წინააღმდეგი,
პირმშვენიერ დღის
როს არს დამდეგი
მშობლიურ მიწას
სწყვეტს ბარათაშვილს
და სიგიჟემდე
მიჰყავს ყაზბეგი.



და პოეზიის
ვით ბედისწერა
ბნელ მწუხარებათ
იცვალა ჟღერა,
ყოველი მხრიდან,
ყოველი მხრიდან
დასტრიალებდა
ბედითი ძერა.

ქაობებიდან
იყო ეს ასე—
მაგრამ ცივ-კლდიდან
ეხლა ძვირფასად
ამოსკდა წყარო
ანკარა ასად—
და აღტაცება
ჯერარნახული
მოჰფინა შორად
მიწას და ცასა.

სიცოცხლე დილის
გულმომბიერი
სხივთა კრთომამში
იყოს ძლიერი.
უფრო და უფრო,
სულ მალლა-მალლა
იწევდეს მთანი
პირმშვენიერი.

აღტაცებული
მწვერვალთა სულით,
სამშობლოს მგრძნობი
არსებით სრულით,
მგრძნობი სიცოცხლის
ძილთა ფარულთა
მთელი სიცოცხლის,
სულით და გულით.

ჩვენს ხანას ვერვინ
ეტყვის: შეჩერდი,
ძგერს ყველას სიმი
დღეს, როგორც ერთი.

უძმაფერესია
ახალი ხანა—
და ისტორიის
ახალი გვერდი!

მყვარებელთან

როგორც არ სძინავთ
მდინარეებს—

მთების წყაროებს,
არ სძინავთ ქარხნებს,
ფაბრიკებსა
და მაღაროებს.

ანთებულია
სიხარულით
შრომის დღეები,
გული უფრო სცემს,
აღმართია,

სიმაღლეები—
რომ იგი ერთი
მრავალ გულთა
გადიქცა ცემად—

მებრძოლი ქართან
და გრიგალთან,
დღითა და ღამით,
აორთქლებული
ყინულოვან
წამოსასხამით,

ყინულოვანთა
და ტყიანთა
ხეფთა მნახველი
ნისლის, ბურუსის,
წყვდიადების

გადამლახველი;
გადამზგრეველი
დროის, სივრცის

კიდითი კიდის—
ცეცხლით და ორთქლით
მოგუგუნე
მანქანა მიდის—

ქმნილი სიმძლავრედ,
აღტყინებად
და აღტაცებად—

გადაღმა, სადაც
აღმართულა
ქარხნის კედელი—

მოდრაობა და
გუგუნია
განუწყვეტელი,
მოდინ გმირნი
ახალ შრომის
ჯარისკაცებად.

შფოთავს ქარბუქი,
თავგადაკვლით,
თავ-გამოდებით...
თოვლის ნაფლეთებს
აფრიალებს
გაბოროტებით,
ის ყოველ სუნთქვას
ეჯახება—
ბოროტი სუნთქვით,
ის ყოველ ცოცხალს
ემუქრება
მოსრვა-მოთუთქვით—

ის ყინვა-თოშის
ულმობელი
არის მთოვარი.

ყინულთ ჯავშანით
შემოქედა
შეუპოვარი
ხომალდი, რაიც
ჩვენს გამბედავს
მეზღვაურს მიჰყავს,

ვერავითარ ქარს
უძლეველი
ვერ გაურიყავს.
აბობოქრებულ
ყინულთა და
გრიგალთა შორის





მისცურავს გემი
და არქტიკას
იპყრობს უშორესს;
იპყრობს არქტიკას,
კვლავ სალამის
გადასაცემად;

მალლა აიწვევს
თვითმფრინავთა
ესკადრილია,
ქვეშ მშვიდათ სუნთქავს
დედამიწა.

გადაშლილია
ფოლადის ფრთები,
მის სივრცეზე
განალღები
თოვლქვეშ სიმშვიდეს
მისცემიან—
მინდორ-ბაღები.

ხვავს ინახავენ
დაფარულნი
თეთრი ნოხებით—

მძლავრ ჰაეროვან
მოღარაჯე
ფრთათ მეოხებით—
არ ელისთ რბევა,
სიკვდილი და
განადგურება
უანგარიშო
მტრის, ცხადია—
აქ უძლურება.

ესკადრილია
გარდაქმნილი
ოვაციებად—

როგორც გამოცდა
უჩვეულო
ელის კრეისერს
არაჩვეული,
ჯერუცნობი
უცხო რეისით



მიეშურება
 საბჭოეთის
 სუბსტრატოსტატი,
 მაღლა, სულ მაღლა
 გამოცდილი
 ფრენა-ოსტატი
 მიეფარება
 სად რიგია
 ღრუბლების ჯგუფთა
 ყველაზე მაღლა,
 ყველაზე ვრცელ,
 ყველაზე სუფთა
 და ყველაზე ცივ
 ჭურჭლების
 ქსოვილებს იქით,
 ყველაზე სათუთ
 კრისტალური
 გაზის თიფთიკით.
 სფეროდ მუდმივი
 მღუმარების—
 გმირი ძლიერი
 მიჰქრის მეოცე
 საუკუნის
 გონდოლიერი—
 ჯადოსნურ ფიქრით
 გაფრენილი
 აფრა-ტილოთი,
 გამარჯვებული
 სტიქიასთან
 ჩვენი პილოტი.
 და არწივები
 ნისლებიან
 და ღრუბლებიან
 ქვეყნიერების
 საიდუმლოს
 ეუფლებიან,
 რათა უჩვენონ
 მტერს მდგარი
 დავაჟკაცება—



ჟენობლობიდან
იმართება

მძლე ფალავანი,
რომ ჟენობლობის
შორს დასტოვოს
ყრუ გალავანი.

სტახანოველი
იგი მოდის
და იგი უტევს
ბუნების ძალთა
სიძუნწესა

და სიჯიუტეს.
ბრძოლა ნავთისთვის,
გაარღვიეთ—

გზა მთების ტოლა—
ქვანახშირისთვის,
მადნისათვის
ხმაურობს ბრძოლა.

ჩაებით შრომის
შეჯიბრებად

გულგახურებით,
მშობლიურ აღთქმებს
ვინც ერთგულად
ემსახურებით.

რათა წინ წარდგეთ
სიამაყით,
თავმოწონებით—

ქვეყნის წინაშე
საჩუქრების
მძიმე ტონებით—

მოყვრისთვის ლხენად,
და მტრებისთვის
თავზარდაცემად—

სამშობლო მხარე
ჩვენ გვეძახის
ახალ ვადებით,

რომ ვიმუშაოთ
ენერგიით
და თავდადებით.



იქით კი, სადაც,
ნაყოფიერ
ველები ზღვარი

გათელილია,
გადათხრილი
და გადამწვარი—
წყალქვეშ, მიწისქვეშ,
და მიწაზე,

ჰაერში, წყალზე
სად ზვირთი ზვირთზე
ისახება

და რკალი რკალზე
ჰაერი არის
უდაბნოა

თუ ხეთა ჩრდილი,
კვალდაკვალ, ყველგან
ადამიანს

მისდევს სიკვდილი,

მისდევს, ნადირობს,
ძალ-მომრეობს,

განაწვალები
ერთადერთ იმედს
ჩვენ გვიცქერის
ხალხთა თვალები.

დე, ჩვენმა შრომამ
განუმტკიცოს
მათ ნებისყოფა,

გადამწყვეტ ბრძოლის
გაუღვივოს
მხნე წინათგრძნობა.

რომ ახლოა დღე,
როდესაც ეს
ხარბი, მსუნავი

მთელი მსოფლიოს
მაგნატების
ხროვათ ბუნავი—

შეჩვეულს ადგილს
ხვალ მოწყდება
და გაფრინდება

სხვა პლანეტაზე
სად მოელის
სულ სხვა
დიდება—სხვა კოლონიის
დასაპყრობლად—
სხვა ზეციური,
სიმდიდრისთვის
წავა მათი
ოცნება მგლური.
მაშ გაასკეცდი,
შეჯიბრებაგ—
კვლავ გატაცებით—

ო, მღელვარებაგ,
სიცოცხლისავ!
ღღე შეიყვარე,
და სიმღერების
ნაკადები
გადაიღვარე.
გადაიღვარეთ
სიმღერებო,
შემომქმედ ხმებში,

გადაიღვარე
ენერგიაგ
ბრძოლის ლექსებში,
მემალაროვე
ტყვარჩელისავ,
ლალი და მნათი

შენც დიდებულად
წამოიწყე
ეს წელიწადი,
და წილად გერგო
გამარჯვება
თანაბარ დროშის,

სახელგანთქმული
ლონბასის და
კრივოროჟის.

დიდი თქვენი
სამსახური
რევოლუციით—



დიდს საუკუნეს
ქიმიისას
რომ გაუწიეთ.
იმ საუკუნის
ძველებურს რომ
ვასცდა ჩარჩოებს,
აღამიანი
ბუნებაზე
როცა იმარჯვებს,
ქება ტყვარჩელელს!
მან სახელით
შემოსა მიწა,
თავის მაღაროს
სასახელოდ
მან დაამტკიცა—
რომ შეუძლია
უძრავი მთის
დაბარბაცება.

შესაძლებელი
ვახდა ჩვენშიც
სასწაულთ ფენა,
სემიფოლოსის
რასაც ახდენს
მტკიცე მარჯვენა.
გაოცებულნი
მოხერხებით
და ოსტატობით—
ვხედავთ ყველანი
რომ წუთობით
და საათობით
მის ხელში მძიმე
ანტრაციტი
და ქვანახშირი,
ხდება ლბილი და
მოსაქნელი
ვით სანაღის პირი.
და ეზლა ბევრი
ფჯიბრება
ერთი-მეორეს,

ვახდეს პირველი
და პირველი
თანასწორობის შორის.

მე მინდა ჩანგი
ხმაურობდეს—
კვლავ ადტაცებით;

რომ შეჰქმნას დიდი
ისტორია
უახლეს გრძნობის,
თანამშრომლობის,
მეგობრობის,
ხალხთა მშვიდობის—

რისიგანაც კაცი
ჟფრო მძლავ
და უკეთესი,
შემომქმედ ხვანას
ადიდებდეს
ყოველი ლექსი!

* * *

...დიადი ცოდნა მოანათებს
და მზებერ ელავს,
მისი სხივები ათბობს ყველას,
ანათებს ყველას.
...ყველა ჩვენგანი დღეს სავსეა
უკეთეს გრძნობით
დიდი, ნათელი სიამაყით,
დიდის დანდობით.
ერთი ძლიერი სხივით მხარე
კიდევ ინთება,
ნათელ გვირგვინით ჩვენი მხარე
დღეს გვირგვინდება.
ცხოვრების ზღვაზე იგი გასწევს
ურყევ გემივით,
აკადემიით, ჩვენს მედროშე
აკადემიით.



აკადემია! გაიშალოს
 ყველა აღმები,
 აკადემია! ამ დიად ღღეს
 მე ვესალმები.
 სალამი ნათელ გზით მიმავალ
 სამშობლო მხარეს,
 სრულყოფისაკენ, სხვებთან ერთად,
 რომ მიიჩქარის!





VII

მეშ ღირება მზის

მეშ დიდება მზეს,
ახალსა და მწველს—
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

რომ შუბლსა და გულს,
რომ მარჯვენა ხელს—
უნათებდეს გზას—
მრავალ ახალ წელს!

ჩვენს მშვენიერს ცას,
ჩვენს ქვეყანას ვრცელს—
გამარჯვების დღე
მრავალ ახალ წელს!

დიდი ხნის წინ ზღვას,
თუ დავშორდით,—დღეს
ჩანგი უმღერს მას:
მრავალ ახალ წელს!

მარშალსა და ხალხს,
დიდ არმიას—მთელს,
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს!

* * *

ღრო მიგვითითებს,
რომ ავსწიოთ მალალი ფარდა,
გავშალოთ მკერდი:
ჩნდეს საქართველოს ისტორიის
სხივოსან ბწკართა—
ახალი გვერდი!

მტერი მიჰთანტეს,
მიმორეკეს, მოიშორის
ვერ დანაღალი—
წარუშლელ ბჭკართა გადიშალა
დიდ ისტორიის
გვერდი ახალი.

შთამომავლობის
საგულისხმოდ ხანამ აღმართა
ის დროშა ერთი.
საქართველოს დიდ
ისტორიის სხივოსან ბჭკართა,
ახალი გვერდი.

ამ საუკუნის
სადიდებლად კვლავ მოიმართა
ზღვის ჩანგი მკვეთრი.
ეს არის ჩვენი სამშობლოს
სხივოსან ბჭკართა
ახალი გვერდი.

ახალი წელი

ბართან თუ მღერენ მთები,
მთასთან ზღვაც უნდა იქნეს:
ახალ წელს გზა ხედეს ჩემი
ახალი, დიდი წიგნის;

დგება ახალი წელი,
გამარჯვებათა წელი.
და მუდამ ასე: დღეებს
ცელავს სიმართლის ცელი.

აგიზგიზებულ კერით
ღელავს ოქრო და ვერცხლი,
ცეცხლს ვერ ვაშორებ მზერას:
ფიქრიანია ცეცხლი.

მაინც რა კექა-ქუხილთ—
უზარმაზარი ეტლით,
მოსკდა მსგავსება მათა
ღვართქაფით შეუწყვეტლით!

დღულდა ბალტიკა, პონტი,
ცამდის აწეულ ტალღით,
ხეთა ავარდა წყება
ფესვებიანად, ყალხით.

ნაპირთ უსაზღვრო გრიალს
შეხვდა ზუზუნი ტყითა,
ო, მშობლიურო მიწავ!
ო, ძველის ძველო მცხეთა.

კიდევ გავარდა მეხი
და შეიშმუშნა მგზავრი
ორად გაპობილ მთაზე
ძელქვა აენთო მძლავრი.

და როცა ჩადგა ქარი
და ალაყვარდა ზეცა,
ვარდნი მოჰფენენ სურნელს,
აღს უსპეტაკეს — მზეცა,

შეხვდა მშობლიურ ნიავს
შუბლი ოქროსფერ მთების,
არის ფრინველთა სტვენა,
გაშლა არწივის ფრთების.

ტოტებგაშლილი, მკვიდრი
სდგას ვერძლეული მუხა,
გამობრძმედილი დროით
როგორც ფოლადი ჯუღა.

აგიზგიზებულ კერას
ღელავს ოქრო და ვერცხლი,
ციცხლს ვერ ვაშორებ მზერას:
მადლიანია ციციხლი.

მაინც რა ქარი იყო,
მაშინ ოპერის გვერდით,
აკადემიაც ერთხმად
პოეტს იცავდა მკერდით.

აგერ აქარის არეს
ოქრო მიქრის და მოქრის
და საიდუმლო ზღვისა
ფიქრებს როგორ არ მოგვერის.

ბართან თუ მღერენ მთები,
მთასთან ზღვაც უნდა იქნეს,
ახალწელს გზა ხვდეს ჩემი
ახალი დიდი წიგნის.

ბედნიერება ჩვენს ხალხს
მიეც, ახლო წელო,
რომ გაუმარჯვდეს კვლავად
და გაიტანოს ლელო.

9 მაისი, 1945 წელი

ვახსოვს წინად, შარშანწინ,—როგორც თავის ლელოზე—
შავ ფრთებს თვითმფრინავები შლიდნენ საქართველოზე.

ვახსოვს უდაბურება შენიღბულთა ღამეთა?
დღეს კი სხივმა ყოველგვარ ლოდინს გადაამეტა.

სდგანან კავკასიონის—მთები მონავერცხლები,
გამარჯვების სიახლით ახმაურდნენ მერცხლები.

მოჰყევ, შავო მერცხალო—რა მზე, რა ჰაერია.
გიხაროდეს: მამული ვერაგ მტერს მოერიდა.

აჰიკჰიკდი, მერცხალო, მართალია თუ არა—
ოთხი წლის მრისხანებამ ჩვენს გზებს გადაუარა.

აჰ, მერცხალო შევთვალა, სხვაგან რომ ზამთარია, |
ჩვენში ზამთარშიაც-კი გაზაფხულის დარია.

არ დააცხრო,—მერცხალო, ხმები ფიქრთ-გასართველი:
სხვებთან ერთად თავს სდებდა მეომარი ქართველი.

ბევრი იყო იმ ომში ჯარი და ჯამათი.
ოთხნი ძმანი, ზოგთაგან ექვსი, შვიდი და ათი.


გმირთა იმათ, მერცხალო, ჰპოვონ მხარე სიმართელით,
ვით შენ ჰპოვე უფნები ბუდე შარშანწინდელი.

და სტალინის, მითხარით, გული ვით დამშვიდდება—
სინათლით არ შემოსოს მშობელ ქვეყნის დიდება.

აჰ ეხლა ქვაც არ არის—უხმო, უნაპერწკალო,
აჰიკჰიკდი მერცხალო, ეშხიანო მერცხალო!

1945 წ.

9 მაისი. დილა,



დიღეხე კიდევ
ქალაქს და სოფელს.
გმირულად შეხვდეს
შობილი მშობელს.
აღდგენა ცეცხლით
გადამწვარ მხარეს;
სიკვდილი ხალხის
შეურაცხყოფელს.

ცამდის ასული
ბოლი დუნდება.
ტოლი და სწორი
შინ დაბრუნდება.
სიბნელისა და
სისხლის-მორევზე—
სხვა განთიადი
აგუგუნდება.

ასე გულწრფელის,
ასე დამწვარის—
ყველა შვილი ვართ
სამშობლო მხარის,
მისი, რომელიც
უძველეს დროით
წმინდათა წმინდის
დაცვას იჩქარის.

იგი სიმწარის
ფილას სცლიდა,
მაგრამ თვის დროშას
სხვებზე არ სცვლიდა.
გუშინაც კარზე
მომღვარი მტერი—
განადგურა
კალმით და ხმლითა.

ვხედავ უნდობარ
დროის სულ-ხდომას,
თავისუფლების
სხვაგვარად მდომარს,



საკუთარ სისხლით
სამშობლოს დამცველს,
ჩვენ გამარჯვებულს
შეგხვდეთ მეომარს.

გაქანებული
უახლეს სიბრძნით.
დროშებიანი
ეტლი ჰქრის გრგვინვით.
მაისმან ცხრამან
გვირგვინი ეკლის
მას შეუცვალა
დაფნის გვირგვინით.

გამარჯვებულ
სამშობლო მხარეგ:
სულ დღესასწაულ
გზებით იარე.
დიდება სტალინს!
დღევანდელი დღე
ბრწყინვალეა და
სხივ-მსხმოიარე!

მზის ამოსვლა საქართველოში

გახსოვდეს მარად, ყოველგზის,
ყოველგვარ სადღეგრძელოში
მზის, მშობლიურ მზის, ნათელ მზის
ამოსვლა საქართველოში.
განქრა ზეცაში ღრუბელი...
ეხლა სხვაგვარად ინათა...
და სხივი თავისუფალი
მოჰტინა იმ ნანინათა...
ვერ მოსპონ და ვერ სძლიონ ის—
ურყევი სიმაგრეები,
გახსოვდეს კავკასიონის
გამძაფრებული დღეები.

ეგონა, მთებს მადაისე
აიღებს, ჯიბეს—ჩაიდებს,
ძლიერ უბრალოდ—და ისე,
რომ არც კი იმუყაითებს.

მეგრამ შენ მეომარი ხარ,
მხარემ რომ უხვად დაბადა—
რომ თქვენთან ვლიდენ მხარდამხარ
აჩრდილნი მამაპაპათა.
იქიდან სადაც ოქტომბრის
ერა აენთო ხახვილი,
ძტერს მოესმოდა ახალ ძვრის
რკინების ჟღერა—ძახილი.
და ჩვენი ჯარი ვითარი
ამღები ყოველ სიმაღლის,
არ შგრძნობი არავითარი
დაბრკოლებისა და დაღლის,
წინ იწევს: გამარჯვება ან
სიკვდილი სახელოვანი
ვითარ დიაღობს, აწცა სცან,
კავკასიონი მხცოვანი.

მოტყდა ის, ჩვენთა ნაპირთა
ვინც სცილიდა ცვლას, შეფერებას,
ორ თვეში რომ გვიპირებდა
წალეკვას, გაცამტვერებას.
მოტყდა ის, ვინც ასაკლებად
მოაწყდა (ახლა ვერა სძლებს),
აუკლებივართ ნაკლებად,
ჰკითხონ დამსხვრეულ გენერლებს.
რტყმა—საზღვარს იქით მიმწდომი
კარგად იგემა ყაჩაღმა—
ცხადია წააგო ომი,
ვინც ომი აქ გააჩაღა.

გახსოვდეს მარად, ყოველგზის,
ყოველგვარ სადღეგრძელოში,
მზის, მშობლიურ მზის, ნათელ მზის
ამოსვლა საქართველოში!

გამარჯვების დღე

დღეს გამარჯვების აღმნიშვნელი
ძვირფასი დღეა.
დღეს მათი დღეა, ვისიც ქვეყნად
დიდი დიდება—

უბრწყინვალესი, უმაღლესი
არის იდეა,
უსპეტაკესი სიმართლე და
ქეშმარიტება.

მე ამ მაისის სულ ახალი
ვიგრძენ ნათელი,
კარგი ნათელი, მხნე ნათელი
შინაგან სიღრმის:
მოლურჯო მთების მშვენიერი
მოსჩანს კალთები,
მფარველნი ჩემი ბავშვობისა
და ჩემის სიყრმის.

მათ იქით კი შორს, ძალიან შორს—
ვით ლალი გედი
უზარმაზარი, უბოლოოდ
თეთრი ლივლივით—
ამართულია კავკასიის
მთავარი ქედი,
გაბრწყინებული მარად უქრობ
თოვლიან სხივით.

მისი სილალე, საოცარი
მისი შვენება,
ფეროვანებით თვით უმაღლეს
ცისკარს მიაგავს,
გაიბო ნისლი და ყაზბეგის
ამოსვენება
უღიადეს მზით—გულსაც იმავ
სიალით დაგავს.

ამ მაღალ მთებზე ბედისწერით
მონახვეტარი,
მიფანტ-მოფანტეს შავი ნისლი:
მტერს შეჩვენება!
აი, მიუშვებს მთლად გაფრენილს
მერანს მხედარი,
და უსივრცოა, ოცნებაო,
მისი ჭენება.

ის ძაუგიდან მირეკავდა,
და მისდევდა მტერს,
კვალდაკვალ სდევდა შემოსეულ
მტარვალთა ურდოს,
მოულოდნელი შიშის ზარით
უკარგავდა ფერს
გარეწარ მომხდურს, ვისაც ჩვენი
დაპყრობა სურდა.

სამშობლოსა საყვარელის
მგრძნობის სიმართლის,
ჩვენი არმიის უღმობელი
დარტყმა მწარეა,
გაიმარჯვა მან, როგორც მედგარ
არმიას მართებს:
ის თავისუფალ ხალხთა ფუძე
და ჯავარია.

მძლავრია ჩვენი მშობლიური
წითელი ჯარი:
არა მონური, არა მშვიდი,
არა გვიანი—
არამედ სწრაფი, ვეფხისებრი,
და ბობოქარი—
მასში მღელვარებს და მოქმედებს
ადამიანი.

აი: არსებობს ქვეყნად მტერი—
ვით მისი წყობა,
ვით ჩასაფრება იღუმალი,
როგორც გზირება:
არსებობს იგი—როგორც მწარე
შეურაცხყოფა,
არსებობს იგი—ვით დაცინვა
და დამცირება

არ მოგეშვება იგი ნებით,
ცხადზე ცხადია,
არა უბრალოდ, არა სუსტად
და უნებურად—

საბედისწერო გასწორება
ჩვენთან სწადია
და, რა თქმა უნდა, დაუნდობლად,
თავისებურად.

მაგრამ უსწრაფეს უსწრაფესი
ელვის და მეხის,
ჩვენი არმია, არ ნახული
ვეფხვის ნახტომით
დაჰკრავს მომხდურებს სიძლიერის
უეცარ ხერხით
ბარბაროსისთვის ახალით და
ძნელმისახედომით.

ეს იყო დარტყმა, მაგრამ დარტყმა
რკინისებური,
სწორედ ადგილზე საჭიროზე:
ზედ საფეთქელზე;
მისით გრიალი თავგადაკლულ
ქარისებური
მძაფრი, ისმოდა კიდი-კიდე,
საბრძოლო ველზე.

იქნებ არ ეყო შემოსეულ
მტერს ეს პირველი.
ჩვენს ჯარს კი არ სურს არასოდეს,
დარჩეს სხვის ვალში.
და მისი ხელი, უეცარი,
მოულოდნელი,
ეხლა სიმძლავრით, ბრუნდამხვევი,
ხედება შიგ თვალში.

მტერს ეგონება, რა მოხდაო,
აჰა, ცეცხლების
მოულოდნელი, ჯარასებურ
ტრიალ-ბზრიალით
ლურჯი რგოლები, ელვის რკალი
და ნაპერწკალი
ამ დარტყმისაგან შადრევნებად
გადმოსკდა თვალით.

ტკივილებს რომ მორეული
დაეცხო ალი,
დაეცხო ვნება ბოზოქარი—
და გულისძგერა,
რომ აეცდინა კიდევ დარტყმა
ახალ-ახალი,
ახალი მენის თავს დატყდომა
საბედისწერო—

კიდევ და კიდევ, შესარჩევად
გარე უვლიდა,
ცბიერი, მარად უნდობელი
მგესლავი გველი,
მაგრამ ამოდ. ის ხელახლა
თავდასხმის სცდიდა,
ჟველგან ხვდებოდა ისევ ცეცხლი,
ცეცხლი ფიცხელი

რაც დასაბამით გაჩენილა
ქვეყნად თაობა,
და რაც შეცვლილა—როგორცა ცვლის
გრძნობები გრძნობას,—
თვალუწვდენელი ამნაირი
სანახაობა,
ჯერ არ უნახავს ბრძოლაში მყოფ
კაცობრიობას.

ქვეყანა, მძაფრი ომის აღდგის
მიჯრილი ძალით,
ყოველი წამით, ყოველ წუთით
მიცემული თვლას,
ყოველგვარ ცნობას უდარაჯებს
გულას ფანჯქალით
და გაოცებით გამარჯვებებს—
მიადევნებს თვალს.

კიდევ შეირყა სტალინგრადთან,
უცებ-ძლიერი
კვლავ უღმობელი დარტყმისაგან
შემკრთალი მტერი.

თვალეზში გაკრთა უეცარი
და უდიერი
ელვა-ნაპერწყლის უამრავი
ნაფერი ჩქერი.

წაიქცევაო, უქამური,
ესაა, მაგრამ
ის, რეტ-დასხმული, ძნელ ბარბაციით
ისევ გასწორდა.
მან თუმცა თავი დაცემისგან
ძლივს შეიმაგრა,
მაგრამ ოდნავად, ძლივ-ძლივაც ვერ
გათანხასწორდა—

წინ მიდის ჯარი, გარეული
მტვერსა და ქაფში:
„აუტანია, იძახდა ის,
სჩანს, ბედისწერას!“
მარჯვე მარჯვენა მან ანაზღათ
სწორედ ნიკაპში,
მის ბრვე ნიკაპში დაუნდობელს
აგემა ვერაგს.

ანაზღეული სიცბიერით
მტერი გაუხტა,
საბედისწერო ბრძოლა ისევ
გახელდახელდა.
ისევ, ხელახლა, სწორედ იმავე
ადგილს დაუხვდა
ჩვენი არმია, ხალხის მცველი,
ისე აღელდა.—

ღუშმანი ეხლა სიმწრის ოფლში,
სისხლში და მტვერში,
საბედისწეროდ, სავალალოდ
არის მოსვრილი.
ფერადს რგოლებად, ცისარტყელად
კრთის მის თვალეზში
აურაცხელად არეული,
სხივების ცხრილი.

როგორი მძლავრი, დამღალველი
უდგას გუგუნნი,
თითქო მთელ ქვეყნად და ყოველგან
ყურებში, თავში.
წამი ისტა: ტყვიად-მძიმე
ვით საუკუნე.
გამოუთვლელ და უბოლოო
წუთების შვავში.

ეხლა დადგომა, დასვენება
და შეჩერება?
სამუდმიოდაა ის კარები
გადაკეტილი.
ასეთ წუთს განა მომხდურისთვის
დაეჯერება
რამე საამო, რამე კარგი,
რამე კეთილი?

იგი იმ წამებს, სწრაფლ-მავლებს
ეხლა არ თვლიდა.
ლონემინდილმა ისევ სცადა,
მოქნევა ზუსტი,
მაგრამ დაქანცულს დარტყმა იგი
გამოუვიდა
უზომოდ სუსტი, უსუსური,
ძალიან სუსტი.

მომხდურმა ეხლა საბოლოოდ
დაჰკარგა გრძნობა!
იგი ბერლინის, თავისსავე,
კართან წაიქცა.
მსოფლიო გრიალს, მეხთ გრიალის
ხმით, თანაგრძნობის
და მხარდაჭერის უბოლოო
ზღვად გადაიქცა.

გზამ ძაუგვიდან—ბერლინამდე
გაიგრიალა.
ჩვენს თავდადებულ და საყვარელ
არმიას ვაშა!

ქართველმა დროშა რაინსტავზე
ააფრიალა:
პირმშენიერმა გამარჯვების
დღემ ირაქრაჟა.

დღეს გამარჯვების აღმნიშვნელი
ძვირფასი დღეა,
დღეს მისი დღეა, ვისიც ქვეყნად
დიდი დიდება—
უბრწყინვალესი, უმაღლესი
არის იღეა,
უსპეტაკესი სიმართლე და
ქეშმარიტება!

ს ზ ა ლ ი ნ ს

დიდ სტალინს მძლავრი არწივის
აქვს გაქანება და ძალა...
აფრინდა, აჰა, აფრინდა,
უვრცესი ფრთები გაშალა!

ქარიშხალს დაედარება
სილალე მისი ფრთებისა,
დღეგანუყრელად ტარება
დიდების, ურყევ ნებისა.

სად ბაზალეთი ოდნავ სჩანს
და იქ აკვანი ნარწივი,
ბაზალეთიდან აფრინდა
თავისუფალი არწივი.

უსმინენ ხმამოყვიარსა,
გრძნობა ცეცხლივით იალეზს,
დიდებულ მთასა მყინვარსა
ასცილდა და იქ ტრიალებს.

და მთებზე გადაფრენილი
არწივი ხმას მიაყურებს,
იქ, სადაც ძველი ნანგრევი
ძაუგის არეს გაჰყურებს.

დიდი არწივის მხარეა
ორი ზღვის შუა მდებარე,
იგი სამშობლოს სახელით
ცხარედ იბრძოდა, მგზნებარე.

ამ მხარეს არა სცოდნია
მტერთან კრთომა და რიდება,
ამაღლდეს მხარე მშობელი,
სტალინს მარადის დიდება!





VIII.

დანგრძლივი სახლი სოხუმში

როგორც სიმსივნე
 გადასარევი,
 ან მოწამლული
 რაზე იარა
 ისე—ფაშიზმი.
 მან მღვრიენარევე
 ნიაღვარივით
 გადმოიარა.

მან საკუთარი
 გადინსნა ქალა
 და ქვებზე თვისი
 დაასხა ტვინი.
 ახლა, შეხედეთ,
 ვით გაქრა ძალა,
 როგორ მიიმსხვრა—
 მომხდურის ჟინი.

სოხუმში სახლი,
 ნგრეული მაშინ
 მზად არის, თავი
 მაღლა ააღოს:
 სიმართლეა სწორედ
 შეხედოს თვალში,
 რანაირიც ის,
 არ უნდა იყოს.

გულთა კავშირი

ხედავ, გაშლილი
 სივრცეა წინა
 წარსულს იგონებს
 ზვირთთ ოხვრა ხშირი:

„სხვა და სხვა ჭირმა
წაისისინა.
და მიაძინა
გულთა კავშირი“.

სად შეაჩერა
მერანმა ფრენა,
სად შთაესვენა
ბარათაშვილი?
მესმის, ვით მაშინ,
მზიურთა ენა:
„სადაც ესვენა
გულთა კავშირი“.

ეს წინაღ იყო,
ოდეს მრავალი
სამშობლოს ჩვენსას
ჩაგრავდა ჭირი.
დღეს, მქუხარეა
ხმა აღმავალი:
გულთა კავშირი,
გულთა კავშირი!

გათენდა ცხრაას ორმოცდა ექვსი

გათენდა ცხრაას
ორმოცდა ექვსი,
ახალი წელი.
ახალი წუთი.
დავათარიღე
ახალი ლექსი
შეცდომით: „წელი
ორმოცდახუთი“.

ეს ინერცია
როდია მხოლოდ:
ჯერ არნახული
ამბების მოქმელი,
მატიანეში
შევა სიმბოლოდ
ზღვა მრისხანებით
მქუხარე წელი.

დღეს ჩამოვხსენი
 ფერადი რუკა
 დიდი ხნის წინად
 გაკრული კედელს,
 ვერ შევხედავ ზღვებს,
 შეფერილს მუქად
 გვადალახარელს
 და ოგიედთელს.

ცას გაუდიდდა
 თვალების გუგა,
 სისხლის მორვევი
 გადაიბუგა,
 სულ სხვა სხივები
 მზემ მიაშუქა
 გამარჯვების დღეს,
 მომავლის მკვედელს.

აზრი გენიალური პარონიისა

გრივალში როგორ ჩამოენათა
 მზეთ რტოვანება.
 როგორ ავარდა ოკეანეთა
 ახმოვანება.

როგორ აეშვა გიგანტური
 ტალღების გამმა...
 იმ საოცარის, იმ მაგიურის
 მიმღერე რამე.

მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული
 იძროდა მარად,
 ერთ მთლიან ჰიმნად გადაქცეული,
 ერთ მთლიან ქნარად,

ჰიმნად, რომელიც დღეს აღტაცებულ
 ხმით იზეპირებს,
 იმ საარაკო ომში დაცემულ
 და ცოცხალ გმირებს.

გმირებს, რომელთაც უკვდავ შინაარსს:
მსოფლიოს, მწვავეს,
და გენიალურ ჰარმონიის აზრს
შესწირეს თავი.

და პოეზია არსებობს ვიდრე,
დროთ გამგონება:
ის ჰარმონია უნდა დამკვიდრდეს,
ის ჰარმონია.

და ჩემი ჩანგიც, ქართია თუ მზით,
რაც ემართება—
იმ ჰარმონიით მოელვარე გზით
მიემართება.

ომგადახდილი აუხაზი

აუხაზი, ომგადახდილი
საქმობლო მხარეს ბრუნდება.
ცა—გუმბათია ახდილი,
ზღვაც ძველები აგუგუნდება.
ცხენით—მიმფრენი ვერხვია,
დაბრუნდა, ნაბადს ქარი შლის,
ჯერ დედას გადაეხვია—
მერე ცოლსა და ქალიშვილს.

„დაბრუნდა“—უცებ გაისმა
ხმა მშობლიური ტყეების.


„დაბრუნდა“—და ცხრა მაისმა
შორს გასცა ხმა სივრცეების.

„დაბრუნდა“—გრგვინავს ტალღა ზღვის,
მიწასაც მისი თქმა უნდა—

და ყველა მხრიდან გაისმის

„დაბრუნდა, გმირი დაბრუნდა!“

ომგადახდილი, ოცნებით
გაჟღენთილია მის გამო,
რომ მზეა და ცხენოსნებით
აიქსო ეზო-მიდამო.



და აფხაზური სიმღერის
ხმა სასიამო ირხევა,
აფხაზურ ცეკვით თვით ჭერის
მკერივი ფიცარი ირყევა.

—ხომ ძველებურად?—კითხულობს,
—ისევე იმგვარად,—ეტყვიან,
გული ისევე ლომ-გულობს,
თუმც, ომით დანასეტყვია,
და საუბარი სდის ხანის,
სალამო ხანის, გვიანის.
ტკბილია მოგონებანი
ასი წლის ადამიანის.

თრთის სამხრეთის ცა, ციური
ვადმოდინება ბურისა,
სთვლემს ხიდი ვენეციური
და კოშკი კელასურისა.
სიტყვაში ვით მაგიური
ხმა წმინდათ ნაკამკამარი,
ხშირად გაისმის მზიური
დასახელება: თამარი.

თასებში ღვინო ეღვარებს,
ცვარი ეცემა მღვლელებს,
ცლიან და ცლიან, მგზნებარეს
იტყვიან სადღეგრძელოებს.
ბორგავენ მონადირენი
შელის და ხოხობის ამბებით
და მისდევს ირემს ირემი
მწერგალებით და შამბებით.

სხვები შორეულ ნაოსნის
თავგადასაფალს ჰყვებიან,
უკვლავი „ვეფხის-ტყაოსნის“
ღრმა აზრით იჟღინთებიან.
ზოგი „გამზრდელის“ სტრიქონებს
ხელახლა განიმეორებს,
ზოგი ხალხურ თქმებს იგონებს
და იმის შემქნელ მთავორებს.

ცხოვრება ჩვენი რთულია,
სტეფეს: განათლება მოვიდა,
რკინისგზაც გამართულია,
სიბრძნესთან სიახლოვითა.
ლაშქა. მოდის ნელნელი
ხმა მდინარეთა ღუღუნის.
ველებზე მიმოფენილა
პლანტაციები თუთუნის.
სიმშვიდეს მიჰყავს ხალისად
მზისაგან სხივ-შენახები
ლიმონის, ფორთოხლისა
და ზეთისხილის ბაღები.

ერთხელაც კიდევ ახსენეს
მხარე, ძვირფასი მამული,
წარსულის გულ-განახსენის
და აწმყოს მძლე ქრიაშული.
გაქრეს შავი დრო, მწუხარე,
მზე გვახლდეს იმერ-ამიერ
თასი აიღეს. მქუხარე
დასძახეს „მრავალ-ქამიერ“.

„დაბრუნდა“ თითქო იძახდა
და სივრცე იმეორებდა
იმ უხვ ნაპირთა, იმ ბაღთა
არეებს ვერ აშორებდა.
გაჭტოინდა, გაჰყვა სადღაც შორს,
ძლიერ შორს გადაგუგუნდა,
ხმა მოესმოდა ტოლს და სწორს:
„აფხაზი გმირი დაბრუნდა!“

ბაკარისი ღირება გმიკვს

ზღვებია თუ მთა და ველი,
რაც სხვისია, ან ჩვენია—
შეთსწავლელ-უნახელი,
ომს ერთიც არ დარჩენია.

იმ წიშნებსა და იმ ხაზებს,
ათასფრად რომ რთავენ რუკებს
ურყევვლად სწამთ აფხაზებს,
რომ დიდება გააშუქებს.



და ლამაზი არის ხაზი—
ორ ზღვას შუა გავლებული,
სიმაღლე და კვლავ ძვირფასი,
უფრო კარგი, უფრო სრული.

მისთა შვილთა მეომართა,
ხსოვნა გულში ვით არ თრთოდეს,
მათი, რომელთ სიცოცხლეში
ვერ შევხვდებით ვერასოდეს—

გმირთ, რომელთაც სამშობლოსთვის
ზედ დააკლეს თავი თვისი—
საუკუნო გახსენება
და დიდება მარადისი!



IX.

აფხიარცა

აფხიარცა, როგორ ჟღერდი,
როგორ ჟღერდი, აფხიარცა.
დამმარცვლელი ქუდზე კაცის
მსგავსი შენი იყო არცა.

როცა მტერი ზღვას გაღმოსცდა,
მოიწია და ვითარცა
ნიაღვარმან ინაცვლა გზა:
შენ ზარს სცემდი, აფხიარცა!

ძარცვა ბევრი გისმენია,
მაგრამ იმნაირი ძარცვა?
ვერცა მიწა და ვერცა ცა
მსგავსს ვერ ჰგონებს, აფხიარცა!

დაინაცრა მისი ხსოვნა,
ვინაც მხარე ცეცხლს გადასცა,
თავს დაესხა ის აფხაზეთს,
როცა მხარე მოიქანცა.

ოდეს გმირმა არ ისურვა
და თაყვანი მტერს არა სცა,
როგორ თრთოდი, როგორ ჟღერდი,
როგორ ჰქუხდი, აფხიარცა!

მტერი თვისი მოყვრად არ სცნა,
ბევრჯერ მწარედ დაამარცხა.
ბევრჯერ ტანში გასცრა მომხდურს,
სასიკვდილოდ დაენარცხა.

ღრიანცელით მოგრიალემ
ვერ იფარცხა მისმა ფარცხმა,
სასახლეზე არ იცვლება
მაღალ მთაზე მდგარი ფაცხა.

და ფხიანი ვეფხის ნახტომს
ჰგავდა მისვლა მისი აწცა
ბევრის, ბევრი გარდასულის
მომთხრობი ხარ, აფხიარცა!

აფხიარცა, აწ ბუმბერაზ
ზღვის გვიმღერე კიდევ რამცა
სიყვარულზე, გმირობაზე
აგუგუნდი, აფხიარცა!

აგერ მთები და ტყეები,
მათი ვარდი და იაცა.
ფხვიერ მიწის, ძველი ვეფხის
გვასმინე ხმა, აფხიარცა!

* * *

მშფოთვარებაა გარედ,
მშვიდობა არის შიგნით.
აფხაზო, თუ ელი არედ—
უნდა იარო წიგნით.

უნდა განემტკიცდეთ გარედ,
უნდა აგმალდეთ შიგნით—
თუ სადმე წახვალ არედ,
წიგნით და მხოლოდ წიგნით!

არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე

არ ვარ ობოლი
ამ ქვეყანაზე
შენ მეგულები
ნუგეშად სანამ!
რა არის ტკბილი
დედის ნანაზე?
მე მიმატოვა
ადრე იმ ნანამ...
მაინც დავდივარ
ამ ქვეყანაზე.



სულ არ ვივლიდი
 ამ ქვეყანაზე
 ნუგეზად რომ არ
 მეგულებოდე.
 დაე, მგოსნობით
 მრავალ ხანაზე
 ზოგს ვყვარებოდე,
 ზოგს ვძულებოდე:
 ობლად თავს არ ვთვლი
 მე ქვეყანაზე.

არ ვარ ობოლი
 მე ქვეყანაზე!
 აგერ ქნარები,
 აგერ გულები...
 ზღვაო, ის ჰანგი
 შენ გაანაზე,
 კვლავ ვიტყვი: რა-კი
 შენ მეგულები—
 ობლად თავს არ ვთვლი
 ამ ქვეყანაზე...

რ ი რ ე

რა კარგზე კარგი
 დროა თენება,
 ელექტრო-შუქთა
 ქრება შეენება,
 მიდის აბრისად,
 როგორც ჩვენება,
 ლანდი ქარხნისკენ.
 ვით გახსენება
 დაჰკრეს, საყვირის
 ხმით იდენება
 ქალაქო ძილი
 და მოსვენება.
 შემოდის დროის,
 გადაჰქნება:
 შენება, ძმებო,
 ისევე შენება.

და არის დილის
სისხამი ცვარი,
რეკავს პირველთა
მანქანათ ზარი,
ავტომობილის,
ხმა ისმის ცხარი,
სადლაც შორიდან
ბრუნდება ჯარი,
მედგარი, მტკიცე,
მაგარი, მყარი
ბალებს ფერადი
და მრავალგვარი
გამოცოცხლებათ
ედება ღვარი.
დილის გაზეთებს
იტაცებს ჩქარი,
მიდამო, ქუჩა,
სახლი და კარი.

იმღერე, დილაგ,
ხმა ისმის მკვეთრი,
იმღერე—ითხოვს
ბალის დღე თეთრი,
იმღერე,—ღელავს
ზღვის ტალღა მყვედრი,
იმღერე,—ამბობს
ყველა შემხვედრი;
იმღერე რეკავს
მთელი ქალაქის
ყოველი მეტრი
და კილომეტრი.
არის მჩქეფარე,
ცოცხალი დილა.
ჯერ მზის ისრებიც
ძლივს ამოწვდილა.




სოხუმი: სარკმელში
მზის ჩასვლა სანატრი.
აღრეა. ხალხით კი
სავსეა თეატრი.
და წამით სხვა მხარეს
მივყევარ სხვა ნისლში:
სულ ათი წლის წინად
მე მახსოვს: პარიზში

უცვლელად საერთო
ისმოდა ჩივილი:
„ეს არის ჩვენი ხმა
და გულის-ტკივილი—
მგოსხის და მასების
მწუხარე გათიშვა.
წიგნები რად გვინდა,
თეატრი რად იშვა.“

ამაოდ აგებენ
მშვენიერ თეატრებს,
ქუდი რომ შეუვდონ
კაცს ვერვინ შეათრევს.
ამაოდ აწყვია
ყდა კარგი წიგნების,
მნატვრელი ვინაა
იმათი შიგნების.

ვინცა ჰქმნის კულტურის
რაიმე შვენებას,
იგი ხალხს გაჟრბის,
ვით სასტიკ ჩვენებას.
და ხალხიც: რა გვნახეთ,
რა მათი საფერი.
ეს ხომ გათიშვაა
და სხვა არაფერი.
პოეტის გზა ხალხთან
არაა ადვილი,
არ არის შეხვედრის
საერთო ადვილი.
ინგლისში ქურდების
აყვავდა რომანი,



პარიზში (ამაზე
 სწუხდა ლენორმანი)
 არსებობს შეძლებულ
 წრეების ფართობი—
 თეატრი სჭირდებათ,
 როგორც ვასართობი.
 ეს არის მაძლართა
 უგულო სკეპსისი,
 მაგრამ თუ ასეა—
 ვისია მერმისი?
 და მძლავრი ხმა ისმის:
 მასების, მასების!
 იქ დიდი კულტურის
 წყურვილი არსებობს,
 წავიდეთ. დიადი
 გვექნება მგზავრობა;
 თუ ხალხის ამ მხარეს
 არ იცნობს მთავრობა,
 ცენზურა სასტიკი
 ცხადი ან ფარული—
 ჩვენ გვიცდის შეხვედრის
 დიდი სიხარული:
 ჩვენ გავგლეჯთ საზიზღარ
 ეკლიან ძავთულებს,
 გულწრფელად ჩვენს მისვლას
 ხალხთან რომ ართულებს“.

და მართლაც მიდიან...
 რამდენი ხანია...
 და რომ ვერ მივიდნენ—
 ეს დასანანია.

სოხუმი. სარკმელში
 მზის ჩასვლა სანატრი
 აღრეა, ხალხით კი
 სავსეა თეატრი...

აქ ვერვის ვერ ნახავ
 სხვა ფიქრით მოარეს,
 მაშ: ფარდა ასწიეთ,
 დავიწყით, დრო არის!

რიმიკრი ვპლიას



მშფოთვარებაში დინჯი
და გამართული ბიჯი,
შენ შენი გრძნობის ნიჭი
და შენი საქმე გაქებს.

გიყვარს სამშობლო-ერი,
მშობლიურ დროშის ფერი—
რომ განადგურდეს მტერი
ჩასაფრებული ჯაგებს.

იმ არსებობის გული
ხელოვნებაა ბრძნული,
„ვეფხისტყაოსნის“ სრული
გზით მიცემული ჰანგებს.

ხან უმძაფრესი, ხან-კი
ტკბილი ვით ზეცის ბანგი—
მხნე, აფხაზური ჩანგი—
შენ შენი ჩანგი გაქებს.

მესხის გამონაქვე

ის გამოხედვა—მზიური
შვილთა ვალი და სესხია,
შეგრძნობა ტიტანიური—
იტყვი: ნამდვილი მესხია.

ის გამოხედვა სხვა, წრფელი,
ვერაფის ვერ მოესყიდა—
და ამაყობდა ქართველი
იმ ერთი ვინმე მესხითა.

იმ გამოხედვით არეებს—
უკვდავი ცა მიესხურათ.
ვეფხების შემოგარეებს
სხვა ვერვინ იტყვის მესხურად.

არის ტალღათა მოხეტქვა
ძლიერი, არ უნებური,
მითხარი—სხვა გამოხედვა
სად არის მესხისებური?

გრიგალია თუ სეტყვაა
არ მეშინია მე სხვისა:
ქართველში გამოხედვაა—
იმ ერთი ვინმე მესხისა.

დიდაბულო შოთა

სიყრმით იცნობ ზღვას და ომებს
გიყვარს ხმალთა სტვენა,
ყვავუორნების არ გაშინებს
შავზე შავი ფრენა.

ომთა გრგვინვა და დროშები
თამარ მეფის ორბთა,
შენ ბრწყინვალედ გამოხატე,
დიდებულო შოთა!

ახსოვს შენსა ოქროსფერ წლებს
გორს, ასპინძას, მცხეთას,
თუ რამდენჯერ სიკვდილისთვის
თვალში შეგიხედავს....

სიკვდილმა ვერ ისიკვდილა,
უქნობ-დათვის რტოთა
უკვდავებით მტარებელო,
ბედნიერო შოთა!

მხოლოდ გმირთა თავდადების
გზა იყო და არის,
ღირსი დიდი სიყვარულის
მშობლიური მხარის.

და იმ „ვეფხის-ტყაოსანით“
ბევრი, არა ცოტა,
გამარჯვების დღე ყოფილა—
დიდებულო შოთა.

თვით ქაჯეთის არ არსებობს
ციხეები შავი,
ძმადშეფიცულ მეგობრების
რომ არ ლეწდეს მკლავი.

მათ საზღვარი გადალახეს
ათასნაირ შფოთთა—
და გვინათის შენი სახე,
მზეთა მზეო შოთა!

თინათინის და ნესტანის
სიყვარულის ღირსი,
მხოლოდ გმირთა უკვდავება
არის მარადისი.

შენს გარშემო ყველა დროის
მღელვარება რბოდა,
უსაყვარლეს სამშობლოს
შეგნებაო, შოთა!

მარგალიტთა დიდთა მტეგნად
და ოქროდა ჰქროდა,
სიტყვათ შენთა შადრევანი,
ცემა ჩოგანთ შნოთა,

შენი გული უსასრულო
სიყვარულით თრთოდა,
შოთა, ერის სიქადულო,
ღვთაებრივო შოთა!

გზით. ჩვენ მიაკ...

გემზე ვიდექ მე ვარდებით—
არა ბარდით და ნარეკლით,
გზას ვკაფავდით თაკდადებით,
გზას ვკაფავდით სულით, გულით.
მე ვიყავი და ნაბადი,
როცა სხივთა ანარეკლით
გაიარა მზემ ნათებით,
გზით, ჩვენს მიერ გაკვალულით.

და სიცოცხლე მზესთან ერთად
მიდიოდა, მიდიოდა...
არ იცოდა რაა დაღლა,
არ ებმოდა თვალი რუქლით,



მრავალ სიმთა შემაერთად
 მიდიოდა ზრუნვა დროთა,
 და სულ მალლა, მალლა, მალლა
 გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით!

და სამშობლოს გული შევების
 გრძნობით სცემდა გამალებით,
 შეჰყურებდა ცას ნამიანს
 გატანით და სიყვარულით,
 სად ნიშია გამარჯვების,
 კვლავ გმირული ამაღლებით
 მიიყვანდა ადამიანს
 გზით, ჩვენს მიერ გაკვალულით!

და თაობას კვლავ თაობა
 განუწყვეტლივ ცვლიდა, ცვლიდა.
 ბევრი ღამე გაანათა—
 პოეზიამ სუნთქვით სრულით.
 იყო დიდი მოძრაობა,
 ყველგან სიამაყით ვლიდა,
 ვლიდა დროშა თაობათა—
 გზით, ჩვენს მიერ გაკვალულით.

გამგადავო და მაგარო ხელო

გამგედავო
 და მაგარო ხელო,
 ხელო უცნობ,
 მაგრამ დიდი მხატვრის,
 როგორც მედგრად
 გატანილი ლელო,
 როგორც სწრაფი
 ასრულება ნატვრის—

ერთი ვეფხიც
 დღეს ჩვენამდე აღწევს:
 არქეოლოგს
 ჟპონენია მთაში,
 სად უძველეს
 ნანგრევთ ხეებს აქცევს
 ქარი-რაში
 და გრიგალიც-რაში.

აფხაზური
ლეგენდები შოთას
იგონებენ
გადმოცემით ძველით,
და სიმღერებს
მრავალს, არა ცოტას
ჩვენო მთებო,
თქვენგან კიდევ ველით!

რა ბრწყინვალედ
გამოხატავს შოთა
სიყვარულის და
გატანის გრძობას,
მეგობრობას,
რწინდობას, ძმობას,
ახლობელ ჰანგს
კეთილშობილ დროთა.

მისით გული,
ხელოვნების ტაძარს,
ოქროს ხანას,
ჟუნობ გზითაც იგნებს,
კიდევ მრავალს
გაუმარჯოს წიგნებს,
სინიღისით,
გამარჯვებულ წიგნებს.

გამბედავო
და მაგარო ხელო,
ხელო ჟუნობ,
მაგრამ დიდი მხატვრის,
ჩვენ გვახარებს
გატანილი ლელო,
ჩვენ გვახარებს
ასრულება ნატვრის!

ილიას მოგვივი

ზღვაზე მწუხრის ჩრდილია,
რომ მღერის: გამაისდი.
მაგრამ სევდა ლოდივით
შაინც მთებს გასცქეროდა.



„სიყვარდაო ილიას,—
ამბობს არტურ ლაისტი,—
ერთად ერთი მოტივი
და მუდამ მას მღეროდა:

რომ სული სტირს და გული,
გულიც მასთან ღონდება,
რომ ამ წუთისოფლის გულს
ვერ იგებს რაიმეთი.
თვალს აახელს ბედკრული,
თვალს ცრემლი არ შორდება,
დარჩენია განწირულს
ერთად-ერთი იმედი.
ჩონგურს იღებს და სიმებს
დაჰკრავს, დააქლარუნებს,
სიყვარულის სიმღერებს
ტკბილად დააღუღუნებს“.

ეხლა შუა-ღამეა,
ნათელით მოიფერა,
ასე მშვენიერი ცა,
სახით მოციმციმეთი.
გულში ჟღერს, რა ხანია
სიყვარულის სიმღერა—
როგორც ერთადერთი გზა—
ერთად-ერთი იმედი.

ეჰ, თუნდაც იმ მოტივით,
მწუხარება გულიდან,
ხალხის ერთგულმა შვილმა
მაინც ვერ მოიგერა.

ის სიმღერა ლოდვიით
აწევს გულს წარსულიდან:
ერთხელ სარაჯიშვილმა
ზღვის პირს ჩემთან იმღერა.

მეხხა სიმჟონია

სად ზღვის ჰავლებია—
ყვავილთა მთოველი,
კვლავ ვხვდებით ერთმანეთს
მე და ბეთხოვენი.

ოცნება მგონია...
სიზმარი მგონია—
ქართული მოტივი...
მეცხრე სიმფონია.

ხამამალა

ჩემს გულში არც წინად
არც ახლა
არც შიში ყოფილა
არც დაღლა.
აქლერდით, ჩანგებო,
ხელ-ახლა:
ხამამალა, ხამამალა,
ხამამალა!
ვინა სთქვა დროშების
ძირს დახრა?
სამშობლოს დუშმანებს
ვინც ახლავს
მათ წყევლა და წყვდიადს
გადახლა
ხამამალა, ხამამალა,
ხამამალა!
დიდება რაინდებს,
ვინც ახლო
სიყვარულს ქვეყნისას
ეახლა,
ყოველი სიმღერით
დიდება,
ხამამალა, ხამამალა,
ხამამალა!

მადლობა აუხაზეთს

მადლობა აფხაზეთს,
მის მზეს და ზღვის ძალას,
მის წინ მოწიწებით
მე ვიხდი ჩაბალახს.
მადლობა ასწლოვან მოხუცებს,
მის მგოსნებს,
სულის წმინდას,
ხმას უცებს.

მადლობა უდარებელ
აფხაზის ზრდილობას,
მის სტუმართმოყვრობას,
ოჯახისშვილობას.

მუდამ სამშობლოით,
მუდამ განახლებით,
ჰშეენის აფხაზეთზე
სიბრძნის თანახლებით,

მადლობის სიმღერას
მივანდობ სიმთ-უღერას,
ამ წიგნის ამ ხაზებს.

მადლობა, მადლობა,
მადლობა აფხაზეთს!

1946 წ.
19 მაისი.

X.

ქუბა და ასირა

მაშინ ვარდებში ჩასმულ აპრილის
ლურჯ-ნაკვამლევნი,
მაისისაკენ ფრთავადახრილის
იყო დამლევნი.

ველთ შლიდა ქარის ნელი მხარული
და მშვიდზე-მშვიდი
სახე-ნათელი, თვალ-მხიარული
იდგა ამინდი.

ხეგს უძინარი ჩაჰქონდა ხმები
ჩქარი მდინარის,
შორს თოვლიანი ბრწყინავდნენ მთები
ცათ უწინარეს.

ჟღერე, სხვადასხვა სურნელება
ტყუთ სინაზეთა,
საამურად და გაუნელებლად
ჰაერს ავსებდა.

ტყემლებს, ალუბლებს შვენოდათ ქულა
სითეთრით ნაზი,
ფშვენდა ზამზახი და ფურუსულა
ათას-ათასი.

გზა ჰანგად ქმნილი ახალ ქნარებით,
საამოდ ჟღერდა
და ჟუგას გული კვლავ გაჩქარებით,
უთმენლად ძგერდა.

იგრძნო, რომ ცხენი სულ არ დაჰლოდა
განვლილი გზითა,
როს ნაცნობ ქიშკარს მიუახლოვდა
და სთქვა: ასირა...

მის დანახვაზე ორი ბამბურა
აღსავსე ლხენით,
გამოეშურა ჭიშკრისკენ მურა,
მზიარულ რბენით.

და სიხარულით ორივე აყეფდა,
რაც ჰქონდათ ძალი,
სანამდის კარებს გამოაღებდა
მოხუცი ქალი...

გამოეშურა ასიდას დედა,
შეხედა, იცნო,
ჟუგა კი შეკრთა, როცა შეხედა:
მიხვდა და იგრძნო.

და თავსაფარის სწორებით ლანდათ
ქმნილი მკრთალ შუქად,
იგი მას ეტყვის: „ჟუგა, მობრძანდი,
მობრძანდი, ჟუგა!

გაზრდილხარ, ჟუგა, თვალმიმტაცებლად,
ვერც ვინ მიხვდება:—
გინდება ჟუგა დავაჟუგება,
ძლიერ გინდება“.

დაღონებული იყო თქმა დედის,
შევიდნენ ძაღვ,
და კუთხეში მდგომ ტახტზე მოწყვეტით
დაეშვა ქალი.

დაფიქრებულმა ჟუგამ თვალეში
შეხედა დედას
მათ განუსაზღვრელ სიელვარეში
ხედავდა სევდას,

დადგა სიჩუმე. ჯერ ვერ მოეწყო
თქმა გულახდილი,
მაღე მშვენიერ სურათზე ეწყო
ღვინო და ხილი.

თავი ხელებში ჩარგო, მკლავებით
დაეყრდნო ზედა
და სტუმარის წინ თავშეკავებით,
ჯერ სდუმდა დედა.

ქუგას თვალეზი არწივს მიუგავს,
გული ამბობდა,
არ ასვენებენ ფიქრები ქუგას—
როგორ, რა მოხდა?

ყრუ ხმით დაიწყო მოხუცმა ქალმა:
„შენდე, ქუგა,
ბედის უკუღმართ ბორბლის ტრიალმა
გზა დაგვიბუგა.

ჩემი ქვეიანი, გულისხმიერი,
არვის სადარი,
ასიდა დინჯი და გონიერი
ეხლა სად არი?

განა ჩვენ მისგან ველოდით ამას?
ბედმა დაგვსაჯა—
არ დაუჯერა მან მოხუც მამას
და არ განსაჯა,

არ შეიბრალა მოხუცი დედა,
გული მეპობა,
ვით შეისწავლა, ვიცოდე, ნეტა
ეს თვითნებობა.

ერთხელ აღერსით ეტყოდა მამა
საღამო ხანად:
მყევხარ ასიდა ზტკბესი რამა,
მზე ამ ქვეყანად,

შენ განანათლე ჩემი, ასიდა,
ცხოვრების ღამე,
წყლულნი, ჩნეულნი ქვეყნით ან ცითა,
შენ დამიამე.

ასიდა, ორთავ თვალის სინათლეგ,
შენ მშობლიური
ბევრი იმედი ხომ გამიმართლე...
აწ მიგდე ყური.

ეხლა ქალი ხარ გასათხოვარი
რად უნდა გთხოვდე,
გიშოვნე კიდევ მდიდარი ქმარი—
უნდა გათხოვდე.

ჰკვიანი მასზე, ვისზეც გათხოვებ
იქნეს საიდან?
მაგრამ, ასიდა, ყურს არ მათხოვებ...
რისთვის, ასიდა?“

ასიდამ ღიღინას უსმინა, მარა
სხვაა ასიდა,
ჟემებად მამას ირა უთხრა-რა,
გაშრა, გარინდლა.

შემდეგ, ძლივსა სთქვა: „ვიყო, მე მინდა,
თავისუფალი“.
„—რაო, დავყრუვდი. რა სთქვი ასიდა?
ღმერთო მომკალი“.

—მამა! შენ ჰკვიანს არქმევ ხაჯიმატს
არ გეთანხმები...
სულ ოქრო-ვერცხლში რომ ჩამსვას მაინც
მას არ ვაყვები.


მაშინ მე ვუთხარ: „ასიდა, გოგო,
შეხედე შენს ხატს:
შორით ბიგმათა ქალი, ტაგოგო,
ეტრფის ხაჯიმატს.“

შენ კი იწუნებ... არავითარი
არ სთქვა უარი.
ჩვენს მიდამოში მასზე მდიდარი
აბა ვინ არი.

ისმინე, შვილო, ისმინე წმინდა
რჩევა დედ-მამის.
შენ მას უყვარხარ ძლიერ, ასიდა,
გაგიჟდეს ლამის“.

—არ მჯერა მისი მე სიყვარული
ცივი და მძიმე,
დედა, ხაჯიმატს ვინ მისცა გული—
უყვარდეს ვინმე?

მის სიყვარულზე ამოოდ სწუხართ,
მამავ და დედავ,
სიმდიდრის მეტი მას არრა უყვარს,
განა არ ვხედავ.



ლაჩრი, ჭირში ყურს არ გათხოვებს,
 მომლხენი თავად.
 საბედისწერო წამს მიგატოვებს
 საზიზღრად, ავად.

გაგცემს, გაგყიდის, იზრუნებს რაზე?
 ცხადზე—ცხადია,
 საკუთარ თავის გადარჩენაზე,
 მოლაღადეა.

აქ ზედმეტია სიტყვა ყოველი
 და ფიქრთა გუბვა,
 მას არ უნდოდა, ვთქვათ, მეზობელის,
 ჟუგას დაღუპვა?

მოდმის გამყიდველს მე მხოლოდ კუბოს
 ფიცარს ვუნატრებ
 და არა იმას, რომ მეც დამღუპოს
 ყველაზე ადრე.

არვის მორჩილებს ჩემი იოლად
 ფიქრი, ზრახვები,
 არა. ხაჯიმატს არასდროს ცოლად
 მე არ გავყვები.“.

განრისხდა მამა:—შენ ჟუგას იცავ.
 მე ვიცი, კმარა.
 მას ვინაც ჯანყით აფხაზთა მიწა
 თითქმის აპყარა.

განმეორება, აბა, კვლავ სცადე—
 ცხარობდა მამა—
 ჯვარისწერისთვის კი მოემზადე...
 სუს... არამგამა“.

და გადმოდინდა ასიდას ლამაზ
 თვალთ ცრემლი წმინდა,
 არ შეუბრუნა ხმა თავის მამას,
 დასცხრა ასიდა.

შემდეგ სულ ქართულ წიგნს კითხულობდა
ყლით ლურჯ-თეთრითა,
არც რას ამბობდა, არც დიდგულობდა,
არც გვაყვედრდა.

თავდავიწყებით გატაცებული
რალაც მოთხრობით,
ის სხვა წიგნებთან დაფიქრებული
იყო დიდხნობით.

შემდეგ მეტყოდა: — „რა მშვენიერი
დასრულდა თავი:
ერთი კარგისა და გონიერი
ქალის ამბავი.“

სიზმარი ვნახე მე წინაღამით
გკერავდი, ვრთავდი,
სხვა უცხო მხარეს ვიყავ, კინალამ
შიშით გავთავდი.

მაოცებდა, რომ ჩემი თმა თოვლის
ფერს ედრებოდა,
ყოველი ღერი თმის თვითიულის,
გამთეთრებოდა.

ასიდას ვუთხარ. ამიხსნას მანაც
ჩემი სიზმარი:
— არ დავშორდებით, დედა, ერთმანეთს...
სწორედ ის არი.

კვლავ მხიარულად სთქვა: „ჩემმა მზემა,
გავიკვირდება—
ისეთი გელის პატივისცემა
და გამდიდრება“.

მამამ წისკვილზე ვაგზავნა შვილი.
— „წადი, ასიდა“.
სახლით გავიდა ასიდა დილით,
მაგრამ დაბინდა

და ასე დიდხანს ის არა სჩანდა:
თუ შეხვდა რამე?
ვიტყვით თუ რისთვის დაავდიანდა,
ახლოა ღამე.

თითქმის დაღამდა, ცა გაილანდა,
მთვარე აღმოხდა,
ასიდა მაინც არსით სჩანდა,
ნეტავ რა მოხდა?

ღელვამ შეგვიპყრო—უფრო და უფრო
იმ ფიქრთა შავთა,
ვერ ვბედავ ჩემს კაცს გავესაუბრო.
კაცს აღარ ჰგავდა.

სულს მიხუთავდა რა წინათგრძნობა
წამთა მწარეთა,
ღარღმა ბრქვალებით შეხუთა ცნობა
და გამარეცა.

წისქვილს წავიდა მამა ამბისთვის,
შეიტყოს უნდა.
მთვარე არ იყო მისული მთის ძირს
როცა დაბრუნდა—

და თქვა: „უყურეთ ჩემს მზეთუნახავს,
რისი წისქვილი?
იქ ის თვალითაც არვის უნახავს...
დავკარგეთ შვილი“.

ქალი აღიბრადა, თავსაფრის ყურით
მან მოიწმინდა
თვალთგან წყაროსებრ ცრემლი ნაფური.
კვლავ სთქვა: „ასიდა“.

ასე უკვალოდ ის დაიკარგა,
ასე აუვად,
ცრემლი, წუწუნნი, ვიცი, არ ვარგა.
არ ვარგა შუვა.

მაგრამ ნაღველი მალე ჩობს—რა ვუყო
დამიდგეს თვალი,
მიწამ ჩაჰყლაპა, ცამ პირი უყო?
არ ვიცი კვალი.

ვაი დედაშენს, საცოდავს, შვილო,
ჩემთვის დღეს ბნელა,
მგესლავი დარდი, რომელს შევჩივლო,
ვის ძალუძს შეეღა?

ვინ იცის, მაჯაგანაცივები
უფსკრულის ფერღზე
გდინხარ უმწიოდ და არწივები
გასხედან მკერღზე?

შენი სული კი მიუსაფარად,
იქნებ მკვნესარი,
ამ მთების ნისლში დაჰქრის მთა-ბარად,
ვით გარეწარი.

ქალი დადუმდა, ჟუგა ერთ წამით
ძირს ჰხრიდა სზერას,
აღელვებული დედის ნათქვამით
იტყოდა ვერ-რას.

თითქო რალაცა ძალთაძალია
ზე—აიხედა.
და სთქვა: „ასიდა რომ ცოცხალია,
რად სტირი, დედა?“

შეუსაბამოს, ბნელს და უაზროს,
დაფარულს ხავსით,
არ დაეძებენ სიკვდილს არასდროს
ასიდას მსგავსნი.

„—ასე გგონია ჟუგა?—ესეა.
მე გეტყვი, მაგრამ
იქნებ თქვენ მითხრათ, უკეთესია.
რას ფიქრობს მამა?“

— „თუმცა უგონოდ სწუხს მამამისი,
დაღის ჩვენებად,
რისხვამ მისი სიტყვის საწყისი
და შეჩვენება“.

ჟუგა დაფიქრდა. ძნელ-დასაძლევ
წესი, ადათი
ასე მკვიდრია, ასე ხანგრძლივი
ფესვები მათი.

ასეთი არის ცხოვრების სარკე
მრავალს დაღლის ის...
ჟუგას ფიქრიდან სიტყვები არკვევს
დიასახლისის:

— „ჟუგა, რას ფიქრობ, ღვინო მიირთვი“!
მან სულუთქმელად
დასცალა კათხა, და თრობის ზვირთი—
იგრძნო, პირველად.

ბზიფიდან ისევ ნიაგმა დაჰკრა
და ტყეს მიაწყდა.
ბზიფიდან არეს ფერმა გადაჰკრა
და ზღვას მიაწყდა.

აივანიდან უცქერის ჟუგა
ფრენას არწივის,
მნათობმა კედელს მზე დაალუქა
ელვარე სხივის.

მე გეტყვით ეხლა—ვარდისფრად ნაფერს,
მათ თუ ქარბუქად
აწყობს ცხოვრება ქვეყნად ყველაფერს,—
დაიწყო ჟუგამ.

„ერთხელ ქალაქში ჩემ სახლთან დღისით
ცივად, უვნებოდ,
შემხვდა კარებში დიასახლისი
და მეუბნება.



„მოვიდა ერთი ლამაზი გოგო,
ჟუგა, ძვირფასო,
ნახვა უნდოდა შენი და როგორ?
წამართო სასო.

იჭერდა ისე თავს, უნდა გითხრა
არ ითქმის მეტი—
რა არის, ჟუგა, რამ გაგაფითრა,
რა ვსთქვი ისეთი?

ღიასახლისმა დამცინა თითქოს
„მანდ კარებსუკან,
ფრთხილად, ფეხი არ წაიბორძიკო,
წერილზე, ჟუგა,

ამ კარებიდან მან, რომ შეაგლო...
რა ფერწასული
სახე გაქვს ჟუგა, ან რამ შეაკრთო
სთქვი, შენი გული?

რა წამს საჩქაროდ კარი შევალე
ძირს დავიხედე,
გდია წერილი: მაშ ვნახე, ვნახე!
კარი ჩავკეტე.

მწერდა ასიდა. მისი სიტყვები
მაშინვე ვიგრძენ...
გულს კი რა მოღის ნუ მეკითხები.
მას ვერ აგიწერ.

სიტყვები იგი გულსა სწვდებოდენ
ტანჯვა-სიაშედ,
ნიშნებად კი არ იფანტებოდნენ
საღლაც, არამედ

მთელ სასიცოცხლო არსების მხრიდან
სწვდებოდნენ გარეს—
რბოდენ მხურვალე მისი სისხლიდან
ცეცხლთ უმგზნებარეს.

—როგორ?—შესძახა დედამ—ასიდა
ცოცხალი არის?—
და მის თვალეში მზე გამობრწყინდა
ახალი ღარიის.

იმისი გრძნობის გადასერილის
სად იყო სიტყვა,
ჟუგამ გაშალა და იმ წერილის
დაიწყო კითხვა:

„—ძვირფასო ჟუგა, რა კი მზობელი
დავტოვე სახლი,
არც ნათესავი, არც მეზობელი—
არა მყავს ეხლა.

შემომადამდა, როცა წავედი
უცნობი გზებით,
მიცქერდა მხოლოდ ცის ვარსკვლავები
ნათელი გზნებით.

ვთქვი: თავისთავი მყავს, მხოლოდ, შემწე.
თუნდ ღმერთს, გინდ მეფეს,
რომ ძალადობა იხმაროს ჩემზე,
არ მივცემ ნებას.

არა, არავის ჩემზე დაცინვის
არ მივცემ ნებას,
აწ სულ სხვა გზა აქვს ჩემს გატაცებას
და მისწრაფებას.

კიდევ ჩემს სოფლად რა გამომაჩენს,
იქ რა დამარჩენს,
ნირს ვერ შეეუცვლი ძვირფას დედაჩემს,
საწყალ მამაჩემს.

არ შეუძლიათ წრფელი გაგებით,
ჩემი გაგება,
მათიც არ მინდა თავგადაგებით
მე ქადაგება.

ძვირფასო ჟუგა, ის რაც მინდოდა
მეთქვა, ნათელი
ცოტა, სულ ცოტა ამბავი არის
სხვა, წინანდელი.

ჯერ პატარები ვიყავით მაშინ,
და მომაგონდა
გრძნობას, რომელსაც ჩემს არსებაში
აღვილი ჰქონდა.

პატარა ბავშვებს გვეჩვენა მაშინ,
და მახსოვს დღესაც,
ქვების გრიალში,—კლდის მონგრევაში
ნასმენი კვნესა.

ის, ამირანი, კვნესოდა მთაში,
ძვირფასო უუგა.
შენ მხოლოდ ერთი სიტყვა სთქვი მაშინ,
მან მზე მაჩუქა.

არსებობს მარად გრძნობა ფარული
და არ დასათმი.
სახელად ჰქვია მას სიყვარული
სამშობლოსადმი.

ეს მე გავიგე მას შემდეგ, როცა
წიგნებში მისმა
გამოძახილმა მე გამოაცა,
როგორც თილისმამ.

ის მოგონება მე არ წამერთვა
და გრძნობას მიჰყვა,
ძვირფასო უუგა, მე შენთან ერთად
ბევრი რამ მიყვარს.

მიყვარს ყოველი მაღალი, დიდი,
პატიოსანი
მიყვარს მედროში, სიმართლის მზიდი
და მზეოსანი.

და ჩემს სიხარულს, ბედს და წამებას
მე შეგუერთებ
საქმეს, რომელიც მწამს, მეწამება,
მიყვარს, ვაღმერთებ.

იმ ერთი საქმის სამსახურს, იმედს
წრფელ გულს ძვერით,
დაუნანებლად ვუერთებ ჩემს ბედს,
მე ამიერიით.

აწ ამ არიდან მივდივარ და საღ
უნდა წავიდე,
ეს ამხანაგებს ჩემსას არ უთქვამთ
ჩემთვის ჯერ კიდევ.

წერილის წერას შენთან ვიჩქარი,
მოგწერო ხელად,
შენ ხომ ჩვენ შორის „იანიჩარი“
გქვია სახელად.

მონახე დედა და გააცანი
ეს ჩემი ფიცი,
მე კარგად ვიცი რწმენა, მიზანი,
და გული მისი.

ნახვამდის, ჟუგა, და სიკვდილამდის
წინსვლა დიდ გზითა!
შენი მარადის და კვლავ მარადის
იქით—ასიდა“.

„—მოვრჩი! შესძახა დედამ,—ასიდა
ცოცხალი არის!—
და მის თვალებში კვლავ გამობრწყინდა
მზე ახალ დარის.

მთებიდან ისევ ნიაგმა დაჰკრა
და ტყეს მიაწყდა,
მთებიდან არეს ფერმა გადაჰკრა
და ზღვას შეაწყდა.

აივანიდან კვლავ უცქერს ჟუგა
ფრენას არწივის,
მზე ჩადის, ზღვაზე წითლად და მუქად,
რევია სნივის,

„მე ვიცი ეხლა, ვარდისფრად ნათერს,
თუ ვით ქარბუქად,
სწევს მომავალი ქვეყნად ყველაფერს!“,—
ამბობდა ჟუგა.



XI.

მომბლიურო ჩემო მინავ

სამი დიდი ოკეანე
გარე უფლის ნათელ მხარეს,
მთავრიანი და მზიანი
ზეცა აფრქვევს სიანკარეს.

ორ ზღვას შუა ძველის-ძველად
საომარი იყო ლელო—
ის გადარჩა, და სახელად
ეწოდება საქართველო!

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს დიდებას,
წინაპართა ძვლებს დავიცავ!

მიყვარს კავკასიის ქედი,
ეს ამერი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იკარ“ და
მისი მრავალჯამიერი.

მიყვარს, მრავალ ჭირნახული
ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
აქარა და თრიალეთი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს უფლებას,
შენს უფლებას სისხლით ვიცავ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის
გზა მიხვეულ-მოხვეული,
ხმა მეგრული,
აფხაზური; ლაზური და მოხვეული,

რამდენ ძარცვას, რამდენ რბევას
გადაუტრია ქართლ-კახეთი!
შორით რაჭა-ლეჩხუმია,
ახლო მესხეთ-ჯავახეთი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

ავერ წინამძღვრიანთ-კარის
ქარი არხევს ზვარის სამოსს.
და ხავერდი სავსე მთვარის
მოჭყენია საგურამოს.

მეცხრამეტე საუკუნე!
გვეგებება ოხვრა კაკლის...
ახალგაზრდა გოლიათი
ეხლა ავსებს ამ დანაკლისს.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

დიდი გზებით მიდის ძველთა
დიდება თუ დამარცხება.
გადმოჰყურებს ზაჰესის მზე
და არაგვიც არა ცხრება.

უსაზღვროა დროთა სიგრცე,
და მდიდარი ფეროვნება,
მისი შრომა, მისი სიბრძნე,
მისი დიდი ხელოვნება!

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმართლეს,
სისხლით ნაპოვნ გზებს დავიცავ!

მიწა სადაც ვხნავთ და ვთესავთ,
მოკირწყლული იყო ძვლებით.
მოლალადე უკეთესად
ვინემ უსახელო წლები.



იმ წარსულთან რა ძლიერი
ანათებს აქ დროის თვალი.
რა რიგად სჩანს მშვენიერი
საქართველოს მომავალი!

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ იმ მომავალს,
იმ მომავლის მზეს დავიცავ!

და ხმალივით ბასრ იღეას
საქართველოს ზხალ ხანის,
ჰგავდეს რკინის ნებისყოფა,
თვითეული ჩვენთავანის.

გამარჯვების გზებით მიდის
თვითეული დღე ფრთამალი.
რომ არ სჩანდეს კვლავ იმ დიდი
სიღუბჭირის ნატამალი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

ოცდაექვსი საუკუნის
წინად ჰქმნიდენ ქართულ ანბანს,
და წიგნები განვლილ დროის
მოგვითხრობენ გმირთა ამბავს.

მიყვარს ძველი წიგნების შლა,
მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ უძველეს განძს,
იმ უძველეს წიგნს დავიცავ!

მიყვარს ძველი წიგნების შლა,
მშვენიერი ძველი ენა.
კიდევ რაც ამ ოცი წელის
გაიშალა აღმაფრენა,—

რაც ამბავი მოფენილა,
რაც ამბავი აწყობილა—
სხვა—შეოცე საუკუნე—
არასოდეს არ ყოფილა!

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,
შენს უახლეს წიგნს დავიცავ!

ენლა ვერვინ ვეღარ გეტყვის
საქართველო ნაწამებო:
იმერეთი ქართლს განუღდა,
საკუთარი სურს სამეფო.

ვერ წამოვა თემურ-ლენგის
იმნაირი ხმა და ზახი,
ტფილისს ტახი რომ არბევდა,
ჯალალ-ედინ-ხორეზმ-შაჰი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მშვიდობას,
შენს მთასა და ზღვას დავიცავ!

ქარმა მიანგრ-მოანგრია.
ძველი ქვეყნის საბუღარი—
და გვაქვს ჭბედნიერესი
ჩვენი მხარე—საკუთარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
მეგობრობის ფიცს დავიცავ!

თუ მრავალგზის დანგრეული,
კვლავ ბრწყინვალე გახდა მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,

თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს—
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.



მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
 რომ დავიცავ შენს შილწეებს,
 შენი დროშის ფერს დავიცავ!

თუ ბუნების მოკვდავ კაცებს,
 გვფერთდება აღტაცება,
 თუ გვაგზნებს და გაგვიტაცებს
 განახლების დიდი მცნება,

თუ ყოველი ახალი დღე—
 ახალ სიმავრეებს აგებს,
 ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
 მუდამ წინსვლას გვიქადაგებს.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
 რომ დავიცავ შენს სიმალლეს,
 შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

ჩვენი ქვეყნის მომავალი
 საგანია ჩვენი ზრუნვის,
 შენ შესძელი დაფასება
 ჩვენი მძლავრი საუკუნის,

გაიარე სევდის მგვრელი
 გზათა სივრცე და საზღვარი,
 გადალახე ღამე ბნელი,
 და ბურუსი ყოველგვარი.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ:
 გიცავდი და გიცავ მარად,
 გიცავდი და კვლავ დავიცავ!

1941 წ.



1948 | ЦЛБ УвССР | 18774



შინაარსი

	88•		89•
ქალაქი წყალქვეშ	5	ომს სურს	51
რიცა	10	* * ვისი არის ეს გუგუნი	54
აფხაზეთო, აფხაზეთო!	11	* * მთავარსარდლის შორს- * მკვრეტელო მზერავ	54
ფირუზისფერ ტალღებზე	12	* * (ის, მოსკოვი)	55
ვესპერი	12	* * (ისეთმა ქარმა დაჰბე- * რა)	55
ტყვარჩელი	14	ისტორიის ახალი გვერდი	57
ვით არ მიყვარდეს	15	ტყვარჩელთან	59
იმ ვენეციურ ხიდებზე	21	* * (ლიადი ცოდნა მოაწა- * თებს)	67
ჰყვება შარდენი	23	მაშ დიდება მზეს	69
მახაჯირები	25	* * (დრო მიგვითითებს)	69
იაფნანა	29	ახალი წელი	70
გოგონა	30	9 მაისი, 1945 წელი	72
აგე, იმ ჩრდილქვეშ	32	დიდება	73
სტუმრად	33	მზის ამოსვლა საქართველო- * ში	74
სხვაგან სადაა?	33	გამარჯვების დღე	75
ეგკალიპტი	34	ს ტ ა ლ ი ნ ს	82
ორნამენტი	35	დანგრეული სახლი სოხუმში	84
გამარჯობა, აფხაზეთო შენი!	35	გულთა კავშირი	84
* * (მოჰფენია ფერი ლი- * ლის)	36	გათენდა ცხრაას ორმოცდა * ექვსი	85
მილიონებში ხელის მრეველი	36	დღეს ჩამოვხსენი ფერადი * რუკა	86
ნაკადულო, ნაკადულო!	37	აზრი გენიალური ჰარმონი- * ისა	86
ცხენოსანი	37	ომგადახდილი აფხაზი	87
აწითლებს ზღვას ზეცის კაშ- * კაში	38	მარადისი დიდება გმირებს	89
ზღვა ახმაურდა	38	აფხიარცა	91
ვარდები	39		
„შარდა ამთა“	41		
ჩვენი კოდორი	42		
ფიქრები კოდორთან	43		
სადლაც კი	44		
თავდადებული მილიონები	46		



* * (მშფოთვარებაა გარედ) 92
 არ ვარ ობოლი ამ ქვეყანა-
 ზე 92
 დილა 93
 პოეტი და მასა 95
 დიმიტრი გულიას 97
 მესხის გამოხედვა 97
 დიდებული შოთა 98

გზით, ჩვენ მიერ 99
 გამბედავო და მაგარო 100
 ლო 100
 ილიას მოტივი 101
 მეცხრე სიმფონია 102
 ხმამალლა! 103
 მადლობა აფხაზეთს 103
 ქუგა და ასიდა 105
 მშობლიური ჩემო შიწავ 118

რედაქტორი გ. ჯიბლაძე.

№ 00724. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XII 1947 წ. მოცულობა 7³/₄ ნაბეჭდი ფურცელი. ტირაჟი 4000. დაკვეთა № 878.

აფხაზეთის სახელგამის სტამბა.

შანი 8 შანი.

ბ. 3/200



ქართული
საქართველო

8539